პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და თბ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

[illegible]
კვირა,
24
თებერვალი
1935 წ.
№ 48 (4104)

ეროვნული ბიბლიოთეკა

I ცხენოსანი არმიის 15 წლისთავი

გაუმარჯოს ცხენოსანთა ძლევამოსილ არმიას



სტალინის ინიციატივით

საჭიროა შევჩერდეთ ერთერთ მნიშვნელოვანეს ისტორიულ მომენტზე, რომელიც სამხრეთის ფრონტზე დაკავშირებულია ამხ. სტალინის სახელთან. მე მხედველობაში მაქვს ცხენოსანი არმიის შექმნა. ეს იყო საკავალერიო დივიზიების ისეთ დიდ შენაერთში გაერთიანების პირველი გამოცდილება, როგორიცაა არმია.

სტალინი ხედავდა ცხენოსანთა მასების ძლიერებას სამოქალაქო ომში. მას კონკრეტულად ესმოდა მათი უდიდესი მნიშვნელობა გამანადგურებელი მანევრისათვის. მაგრამ წარსულში არავის ქონდა ისეთი თავისებური გამოცდილება, როგორიცაა ცხენოსანი არმიის მოქმედება. ამის შესახებ არაფერი ყოფილა დაწერილი არც სამეცნიერო ნაშრომებში. ამიტომ ასეთი ღონისძიება იწვევდა ან განცვიფრებას, ან პირდაპირ წინააღმდეგობას. მაგრამ ასეთი როდია სტალინი: რაკი დარწმუნებული იყო თავისი გეგმების ხარგებლიანობასა და სისწორეში, იგი მუდამ შეუპოვრად ახორციელებდა მათ. და 11 ნოემბერს რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭო სამხრეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოსაგან ღებულობს შემდეგ მოხსენებას:

„რესპუბლიკის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს.

სამხრეთის ფრონტის რევოლუციურმა სამხედრო საბჭომ თავის ა. წ. 11 ნოემბრის სხდომაზე, გაითვალისწინა რა ახლანდელი ვითარების პირობები, დაადგინა — შექმნას ცხენოსანი არმია პირველი და მეორე ცხენოსანთა კორპუსების და ერთი სასროლო ბრიგადის (შემდეგ დაემატოს მეორე ბრიგადაც) შემადგენლობით.

ცხენოსანი არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს შემადგენლობა: არმიის სარდალი ამხ. ბუდიონი და წევრები: ამხ. ვოროშილოვი და შჩადენკო.

ცნობა: სამხრეთის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს 1919 წლის 11 ნოემბრის დადგენილება № 505-ა.

გთხოვთ ზემოაღნიშნული დაამტკიცოთ“.

ცხენოსანი არმია შეიქმნა ცენტრის სურვილის მიუხედავად და მისი სურვილის წინააღმდეგაც კი. მისი შექმნის ინიციატივა ეკუთვნის ამხ. სტალინს, რომელსაც სრულიად ნათლად ქონდა წარმოდგენილი ასეთი ორგანიზაციის მთელი საჭიროება. ამ ნაბიჯის ისტორიულ შედეგებს ყველა კარგად იცნობს.

კ. ვოროშილოვი.

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მისალმება

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მიესალმება გმირული პირველი ცხენოსანი არმიის მეომრებს, მეთაურებს, და პოლიტმუშაკებს მისი შექმნის 15 წლისთავზე.

ჩვენი პარტიის მიერ აღფრთოვანებულმა პირველმა ცხენოსანმა არმიამ ამხანაგების **ვოროშილოვის** და **ბუდიონის** ხელმძღვანელობით სამარადისო სახელი მოიხვეჭა თავისი საბრძოლო მოქმედებით სამხრეთის და პოლონეთის ფრონტებზე და პერეკოპთან. ბრწყინვალე ფურცლები ჩასწერა სამოქალაქო ომის და წითელი არმიის ისტორიაში პირველი ცხენოსანი არმიის მეომართა რევოლუციური სიმამაცე და თავგანწირულება მუდამ უნდა იყოს მაგალითი გმირობის ახალ თაობათათვის, ჩვენი დიდი სამშობლოს დამცველებისათვის.

დაიცავით, ამხანაგებო, თქვენი სახელოვანი საბრძოლო ტრადიციები!

ღირსეულად ატარეთ სახელოვანი პირველი ცხენოსანი არმიის მეომრების, მეთაურების და პოლიტმუშაკების წოდება!

იყავით წითელარმიელური დისციპლინის და ორგანიზაციის, შეგნებულობის და კულტურულობის მაგალითის მიმცემი, იყავით სამაგალითონი სამხედრო საქმის ხელოვნების და ტექნიკის დაუფლების საქმეში.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი.

ვ. ი. ლენინი

დეპეშა მეთაურთა შემადგენლობის კურსებს პეტროგრადში

პეტროგრადი—ვასილიევსკის კუნძული
კადეტთა ხაზი № 8.
საოლქო კომისარს

მივესალმები 400 ამხანაგ მუშას, რომლებიც დღეს ამთავრებენ წითელი არმიის მეთაურთა შემადგენლობის კურსებს და შედიან მის რიგებში, როგორც ხელმძღვანელები. რუსეთის და მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ენერგიით იბრძოლებენ მუშები სახელმწიფოს მართვა-გამგეობისათვის და კაპიტალის მონობის დასამხობად მებრძოლ მშრომელთა და ექსპლოატირებულთა არმიის მეთაურობისათვის. ამიტომ დარწმუნებული ვარ, რომ ოთხასის მაგალითს კიდევ მრავალი ათასი მუშა მიბაძავს. ხოლო ასეთი ადმინისტრატორებით და მეთაურებით კომუნიზმის გამარჯვება უზრუნველყოფილი იქნება.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე
ლენინი.

(ეს დოკუმენტი „პრავდას“ გადასცა მარქს ენგელს ლენინის ინსტიტუტმა).

„პრავდა“, 23-II — 35 წ.

ამხ. სტალინის მისალმება

საბრძოლო სალამი ცხენოსანარმიელებს!

სალამი იმ ცხენოსანი არმიის მეომრებს, მეთაურებს და პოლიტმუშაკებს, რომელმაც დაამარცხა საბჭოთა კავშირის მტრების ურდოები და განდევნა ჩვენი ქვეყნიდან მძარცველი ინტერვენტები!

სალამი ამხანაგებს ვოროშილოვს, ბუდიონის, შჩადენკოს—ცხენოსანი არმიის მშენებლებსა და ბელადებს. სამოქალაქო ომის ისტორია დამშვენებულია თქვენი სახელოვანი გამარჯვებებით, ამხანაგო ცხენოსანარმიელებო! თქვენი სიმამაცე და გმირობა მაგალითს წარმოადგენს ჩვენი ახალგაზრდობისათვის.

იმედი გვექნება, რომ წითელი ცხენოსანი არმიის ბასრი ხმლები და აუცდენი ტყვიები, როცა ამას ვითარება მოითხოვს, ისევე კარგად ემსახურებიან ჩვენი დიდი სამშობლოს დაცვის საქმეს, როგორც ემსახურებოდენ ისინი ახლო წარსულში.

ი. სტალინი.

ამხ. სტალინი პეტროგრადის ფრონტის შესახებ

გენერალ იუდენიჩის შეტევის დროს

(გამოქვეყნებულია „პრავდაში“ № 147, 1919 წ.)

ამ დღეებში პეტროგრადის ფრონტიდან დაბრუნებულმა ამხ. **სტალინმა** ჩვენს კორესპონდენტს გაუზიარა თავისი შთაბეჭდილებანი ფრონტის მდგომარეობის შესახებ.

I პეტროგრადის ბჯეები

პეტროგრადის ბჯეები — ეს ის პუნქტებია, რომლებიდანაც დაძრულ მტერს, თუ წარმატება ხვდა წილად, შეუძლია გარს შემოერტყას პეტროგრადს, ჩამოაშოროს იგი რუსეთს, და, ბოლოს, დაეუფლოს მას. ასეთებია: პეტროზავოდის უბანი, რომელსაც მიმართულება აქვს ზვანკისაკენ, მიზანი — პეტროგრადის გარემოცვა აღმოსავლეთიდან; ოლონეცის უბანი ლოდეის ველის მიმართულებით, მიზანი — ჩვენი პეტროგრადის ჯარებისათვის ზურგში შემოვლა; კარელიის უბანი, რომელსაც მიმართულება აქვს პირდაპირ პეტროგრადისაკენ, მიზანი — პეტროგრადის გარემოცვა ჩრდილოეთიდან, ნარვის უბანი გატჩინოს და კრასნოე სელოს მიმართულებით, მიზანი — პეტროგრადის აღება სამხრეთ-დასავლეთიდან, ან, ყოველ შემთხვევაში, გატჩინო — ტოსნოს ხაზის დაკავება და პეტროგრადის გარემოცვა სამხრეთიდან, პსკოვის უბანი დნობოლოგოეს მიმართულებით, მიზანი — პეტროგრადის მოწყვეტა მოსკოვისაგან, ბოლოს, ფინეთის ყურე და ლადოგის ტბა, რომლებიც იძლევიან შესაძლებლობას, რომ მტერი გადმოვიდეს პეტროგრადის დასავლეთით და აღმოსავლეთით.

II მტრის ძალები

მტრის ძალები ამ უბნებზე აჭრელებული და სხვადასხვა ყალიბისაა. პეტროზავოდის უბანზე მოქმედებენ სერბები, პოლონელები, ინგლისელები, კანადელები, რუსი თეთრგვარდიელი ოფიცრების ჯგუფი. ყველა ისინი ეგრედწოდებული მოკავშირეების სახსრებით სულდგმულობენ. ოლონეცის უბანზე — ფინები, რომლებიც ფინეთის მთავრობის მიერ კონტრაქტით დაქირავებული არიან ორი-სამი თვით. თეთრგვარდიელ ფინების სათავეში დგანან გერმანული ოკუპაციის შემდეგ დარჩენილი გერმანელი ოფიცრები. კარელიის უბანზე დგანან ფინეთის ეგრეთწოდებული რეგულარული ნაწილები. ნარვის უბანზე — რუსთა ნაწილები, რომლებიც რუსის სამხედრო ტყვეებისაგან შეადგინეს, და ინგერმან-ლანდის ნაწილები, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობისაგან შეადგინეს. ამ ნაწილების სათავეში დგას გენერალ-მაიორი როძიანკო. პსკოვის უბანზე დგანან აგრეთვე რუსთა ნაწილები სამხედრო ტყვეებისაგან და ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან ბალახოვიჩის მეთაურობით. ფინეთის ყურეში მოქმედებენ ნაღმოსნები (5-დან 12-მდე) და წყალქვეშა ნავები (2-დან 7-მდე), რომლებიც, როგორც ჩანს, ინგლისს და ფინეთს ეკუთვნიან.

ყველა საბუთი გვეუბნება, რომ მტრის ძალა პეტროგრადის ფრონტზე დიდი არ არის. მტრის ყველაზე უფრო აქტიური უბანი — ნარვის უბანი — არა ნაკლებად განიცდის მებრძოლ „ადამიანთა მასალის“ სიმცირეს, ვიდრე დანარჩენი, ნაკლებად აქტიური, თუმცა არანაკლებად მნიშვნელოვანი უბნები.

სწორედ ამით აიხსნება, რომ მიუხედავად „Times“-ის გამარჯვების ყიჟინისა და ჯერ კიდევ ორი თვის წინათ პეტროგრადის „ორი-სამი დღის შემდეგ დაცემის შესახებ“, — მტერმა არათუ ვერ მიაღწია თავის საერთო მიზანს — პეტროგრადის გარემოცვას, არამედ ამ პერიოდში ვერ შესძლო მიეღწია იმისათვის, რომ განეხორციელებია თუნდაც ერთი ნაწილობრივი საუბნო დავალება ამათუიმ გადამწყვეტი პუნქტის დაკავების აზრით.

ეტყობა, „ნაჭები“ „ჩრდილოეთ-დასავლეთის არმია“, ფინეთში მყოფ გენერალ იუდენიჩის მეთაურობით, რომელზედაც ძველი მელა გუჩკოვი თავის მოხსენებ დენიკინისადმი იმედებს ამყარებს, ჯერ კიდევ არ გადმოუსხამთ.

III მტრის ვარაუდი

ყველა საბუთის მიხედვით, მტერს იმედი ქონდა არა მარტო, ან უფრო სწორად, არა იმდენად თავისი საკუთარი ძალებისა, რამდენად თავისი მომხრეების — თეთრი გვარდიელების ძალისა ჩვენი ჯარების ზურგში, პეტროგრადში და ფრონტებზე. უწინარეს ყოვლისა ისინი არიან პეტერში მყოფი ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა ეგრეთწოდებული საელჩოები (საფრანგეთის, შვეიცარიის, საბერძნეთის, იტალიის, ჰოლანდიის, დანიის, რუმინეთის და სხვ.) რომლებიც იუდენიჩის და ინგლის-საფრანგეთ-ფინეთ-ესტონეთის [illegible] ონაგს იწევიან. ეს ვაჭრობის [illegible] ფულს უხვად არიგებდენ და ქრთამავდენ ჩვენი არმიის ზურგში ყველას, ვისი მოქრთამვაც კი შეიძლებოდა. შემდეგ — რუსი ოფიცრობის მოსყიდული ნაწილი, რომელმაც რუსეთი დაივიწყა, პატრიოტობა დაკარგა და რომელიც მზად არის მუშურ-გლეხური რუსეთის მტრების მხარეზე გადაბარგდეს, ბოლოს, პეტროგრადის პროლეტარიატის მიერ ნაწყენი ყოფილი ადამიანები, ბურჟუები და მემამულეები, რომლებმაც, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, იარაღი შეაგროვეს და რომლებიც უცდიდენ ხელსაყრელ მომენტს, რომ ჩვენი ჯარებისათვის ზურგში ლახვარი ჩაეცათ. სწორედ ამ ძალების იმედი ჰქონდა მტერს, როცა იგი პეტროგრადს უტევდა. დაეკავებია წითელი გორკა, კრონშტადტის ეს გასაღები, და ამით დაეუძლურებინა გამაგრებული რაიონი, აჯანყება მოეხდინა ფრონტზე და სროლა აეტეხა პეტროგრადისათვის, რათა პეტროგრადში აჯანყებით [illegible] საერთო ალიანსის დროს ფრონტზე საერთო შეტევის გაერთიანების გზით, გარს შემოეტყმოდა პროლეტარული რევოლუციის კერას და აეღოთ იგი — აი როგორი იყო მტრის ვარაუდი.

IV მდგომარეობა ფრონტზე

მაგრამ მტრის იმედი არ გამართლდა. წითელი გორკა, რომელიც მემარცხენე ესერების მხრივ შინაგანი ღალატის მეოხებით, ერთი დღით იქნა დაკავებული, საბჭოთა რუსეთმა მაშინვე დაიბრუნა ზღვიდან და ხმელეთიდან ბალტიის მეზღვაურების მძლავრი დარტყმის შედეგად.

კრონშტადტის გამაგრებული პუნქტები, რომლებიც, მემამულეების, მენშევიკ-ესერების და ოფიცრობის მოსყიდული ნაწილის ღალატის მეოხებით, ერთ წუთს თითქოს შეირყენ, ბალტიის ფლოტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს რკინის ხელით სასწრაფოდ წესრიგში იქნენ მოყვანილი. ეგრეთწოდებული საელჩოები და მათი ჯაშუშები დავაპატიმრეთ და უფრო მყუდრო ადგილას გადავიყვანეთ. ამასთან ზოგიერთ საელჩოში აღმოჩნდა ტყვიამფრქვევები, თოფები (რუმინეთის საელჩოში ერთი ზარბაზანიც კი), საიდუმლო კომუტატორები და სხვა. პეტროგრადის ბურჟუაზიული კვარტალები საყოველთაოდ იქნა გაჩხრეკილი (ამასთან აღმოჩნდა 4 ათასი შაშხანა და რამდენიმე ასეული ყუმბარა). რაც შეეხება მტრის საერთო შეტევას, იგი არა თუ წარმატებით არ დაგვირგვინდა, როგორც ამას „Times“-ი გაიძახოდა, არამედ ვერც კი მოასწრეს მისი დაწყება. თეთრგვარდიელი ფინები ოლონეცთან, რომლებიც ცდილობდენ ლოდეის ველი დაეკავებინათ, დავამარცხეთ და ფინეთის ფარგლებში გავაძევეთ. [illegible] პეტროზავოდსკის ჯგუფი, რომელიც პეტროზავოდსკიდან რამდენიმე ვერსის სიშორეზე იდგა, ახლა ქუდმოგლეჯილი უკან იხევს ჩვენი ნაწილების შეტევის გამო, რომლებმაც მას ზურგში შემოუარეს. მტრის პსკოვის ჯგუფმა ხელიდან გაუშვა ინიციატივა, ერთ ადგილზე გაიჩხირა, ხოლო ალაგ-ალაგ უკან იხევს კიდეც, რაც შეეხება მტრის ნარვის ჯგუფს, — ყველაზე უფრო აქტიურ ჯგუფს, — მან არა თუ ვერ მიაღწია თავისას, არამედ, პირიქით, გახრწნილი უკან იხევს ჩვენი ნაწილების შეტევის გამო, იხრწნება და დნება იამბურგის გზაზე წითელი არმიის ცეცხლის ზეგავლენით. ამგვარად, ანტანტის გამარჯვების ყიჟინა ნაადრევი აღმოჩნდა. გუჩკოვის და იუდენიჩის იმედი არ გამართლდა. კარელიის უბანზე, რომელიც ისევ პასიურობას იჩენს, ჯერ კიდევ არაფრის თქმა არ შეიძლება, რადგან ფინეთის მთავრობამ, ვიდლიცის ქარხანასთან მისი დამარცხების შემდეგ, საგრძნობლად [illegible] ტონს და თავი დაანება ქუჩურ გინებას რუსეთის მთავრობის მისამართით. ამასთან ეგრეთწოდებული ინციდენტები კარელიის ფრონტზე თითქმის სულ შეწყდა.

არის თუ არა ეს სიწყნარე ქარიშხლის წინ, ეს მხოლოდ ფინეთის მთავრობამ იცის. ყოველ შემთხვევაში შემიძლია ვთქვა, რომ პეტროგრადი მზად არის მტრის მხრივ შესაძლებელი ყოველი მოულოდნელობისათვის.

V ფლოტი

არ შემიძლია რამდენიმე სიტყვა არ ვთქვა ფლოტის შესახებ. არ შეიძლება არ მივესალმოთ, რომ ბალტიის ფლოტი, რომელიც დაღუპულად ითვლებოდა, იწყებს ნამდვილ აღორძინებას. ამას არამარტო მეგობრები, არამედ მტრებიც აღიარებენ. არაჩვეულებრივ სასიხარულოა, რომ რუსეთის ოფიცრობის იარა — მისი მოსყიდულობა — ყველაზე ნაკლებად შეეხო ფლოტს. ფლოტის მეთაურთა შორის [illegible] აღმოჩნდენ ადამიანები, რომლებიც თავის და საკუთარ სახელით, რუსეთის ღირსებას და დამოუკიდებლობას ინგლისის ოქროზე უფრო მაღლა აფასებენ. კიდევ უფრო სასიხარულოა, რომ ბალტიის მეზღვაურებმა კვლავ ჰპოვეს თავისი ლაღი და თავის საგმირო საქმეებით გააცოცხლეს რუსეთის რევოლუციური ფლოტის საუკეთესო ტრადიციები. ეს ჰპოვება რომ არ ყოფილიყო, პეტროგრადი ვერ იქნებოდა დაცული უეცარი საშიში მოულოდნელობისაგან ზღვიდან. ჩვენი ფლოტის აღორძინების დასახასიათებლად ყველაზე უფრო ტიპიურია ის უთანასწორო ბრძოლა, რომელიც ივნისში გაიმართა ორ ჩვენს ნაღმოსანსა და მტრის ოთხ ნაღმოსანს და სამ წყალქვეშა ნავს შორის. ამ ბრძოლიდან ჩვენი ნაღმოსნები, მეზღვაურების თავგამოდების და მომქმედი რაზმის უფროსის ენერგიული ხელმძღვანელობის მეოხებით, გამარჯვებული გამოვიდნენ. მათ ჩაძირეს მტრის წყალქვეშა ნავი.

VI შედეგები

ხშირად როძიანკოს ადარებენ კოლჩაკთან საბჭოთა რუსეთისათვის საფრთხის აზრით. ამასთან როძიანკოს არანაკლებად საშიშად მიაჩნიათ, ვიდრე კოლჩაკი. ეს შედარება არ არის სწორი. კოლჩაკი მართლაც საშიშია, ვინაიდან მას მოეპოვება სივრცეც უკან დასახევად, — ადამიანთა მასალაც ჯარის ნაწილების შესავსებად და პურიც არმიის გამოსაკვებად. როძიანკოს და იუდენიჩის უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ მათ არ ჰყოფნით არც სივრცე, არც ადამიანთა მასალა, არც პური. ფინეთი და ესტლანდია, რა თქმა უნდა, წარმოადგენენ ერთგვარ ბაზას რუსი სამხედრო ტყვეებისაგან — თეთრგვარდიელთა ნაწილების შესაქმნელად. მაგრამ ჯერ ერთი, სამხედრო ტყვეები არ შეიძლება იყვნენ საკმაო და სავსებით საიმედო მასალა თეთრგვარდიელი ნაწილებისათვის. მეორე, თვით ვითარება ფინეთსა და ესტლანდიაში, იქ რევოლუციური მოძრაობის გაშლის გამო, არ იძლევა ხელსაყრელ პირობებს თეთრგვარდიელთა ნაწილების შესადგენად. მესამე, როძიანკოს და ბალახოვიჩის მიერ დაკავებული ტერიტორია (სულ დასავლეთით [illegible] მაზრა) თანდათან და სისტემატიურად მცირდება, და „ნაჭები“ „ჩრდილოეთ-დასავლეთის“ არმია, თუ იგი საერთოდ დაიბადება, მალე ვერსად შესძლებს გაშლას და მანევრირებას, — ეს უნდა ვიცოდეთ, — არც ფინეთი, არც ესტლანდია, ჯერჯერობით მაინც, არ სთმობენ თავის საკუთარ „ტერიტორიას“ როძიანკო-[illegible]-იუდენიჩისათვის. არმია ზურგის გარეშე — ასეთია „ჩრდილოეთ-დასავლეთის“ არმია. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ასეთი არმია დიდხანს ვერ იცოცხლებს, თუ [illegible] მოვლენათა ჯაჭვში არ შეიჭრება ახალი, სრულიად მტრისათვის ხელსაყრელი საერთაშორისო ხასიათის გარემოება. მაგრამ ყველა მონაცემის მიხედვით, მტერს არავითარი საფუძველი არა აქვს ამის იმედი იქონიოს.

წითელმა არმიამ პეტროგრადთან უნდა გაიმარჯვოს.

მისალმებანი

ს. ს. რ. კ-ის ცაკისაგან

პირველი ცხენოსანი არმიის ორგანიზაციის 15 წლისთავზე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი მხურვალე სალამს უგზავნის სოციალისტური მუშურ-გლეხური წითელი არმიის მეომრებს, მეთაურებს, და პოლიტმუშაკებს და ულოცავს მათ ჩვენი სახელოვანი ცხენოსანი არმიის წარმატებებს და გამარჯვებებს, იმ არმიის, რომელმაც სამარადისო სახელი მოუხვეჭა პროლეტარული სახელმწიფოს არმიას.

საბჭოთა კავშირის ხალხების მიერ სამოქალაქო ომის ქარცეცხლში შექმნილი პირველი ცხენოსანი არმია წარმოადგენს აჯანყებული მუშებისა და გლეხების რევოლუციური გმირობის და მამაცობის განსახიერებას. ამიტომ იყო, რომ მან გადამწყვეტი გავლენა მოახდინა დენიკინის, ვრანგელის თეთრპოლონელების და მახნოს ბანდების წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლების წარმატებით დამთავრებაზე.

პირველი ცხენოსანი არმიის მიერ ათასი კილომეტრობით განვლილი გზები, მისი გმირული ბრძოლები თეთრგვარდიელებთან დონში, ყუბანში, უკრაინის, ვოლინის და გალიციის მინდვრებზე სამუდამოდ დარჩება მშრომელთა ხსოვნაში, როგორც უმაგალითო სიმამაცის და მუშათა კლასის საქმის ერთგულების ნიმუში.

აღნიშნავს რა ამჟამად პირველი ცხენოსანი არმიის სახელოვან ბრძოლას და გამარჯვებებს სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი დარწმუნებულია, რომ პირველი ცხენოსანი არმიის წითელდროშოვანი ნაწილები მუდამ მტკიცედ დაიცავენ სახელოვანი წარსულის საბრძოლო ტრადიციებს და ჩვენს სოციალისტურ სახელმწიფოზე იმპერიალისტების თავდასხმის მომენტში იქნებიან მებრძოლთა პირველ რიგებში და სოციალისტური მუშურ-გლეხური წითელი არმიის გამარჯვებათა პირველი მატარებლები.

გაუმარჯოს პირველი ცხენოსანი არმიის სახელოვან უძლეველ ნაწილებს!

გაუმარჯოს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ფხიზელ გუშაგს — მუშურ-გლეხურ წითელ არმიას!

სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმი.

23 თებერვალი 1935 წ.

ს. ს. რ. კ-ის სახკომსაბჭოსაგან

ს. ს. რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭო მხურვალედ ესალმება პირველი ცხენოსანი არმიის სახელოვან მეთაურებს, პოლიტმუშაკებს და მეომრებს მის 15 წლისთავზე.

ამხანაგ **სტალინის** ინიციატივით შექმნილმა პირველმა ცხენოსანმა არმიამ ამხანაგების ვოროშილოვის [illegible] ბოლშევიკური ხელმძღვანელობით და მებრძოლი მეთაურობით თვალსაჩინო როლი ითამაშა თეთრგვარდიელთა არმიების განადგურებაში სამხრეთისა და დასავლეთის ფრონტებზე და გადაიქცა წითელი [illegible] ერთერთ უძლიერესად გმირულ ნაწილად.

სახალხო კომისართა საბჭო დარწმუნებულია, რომ მუშურ-გლეხური წითელი არმია და მისი სახელოვანი კავალერია საჭირო მომენტში კვლავ სასახელოდ შეასრულებენ თავის საბრძოლო ამოცანას იმპერიალისტების [illegible] და [illegible] გარედან თავდასხმისაგან საბჭოთა კავშირის [illegible] საქმეში და ღირსეულად დაიცავენ ჩვენი გმირული წითელი არმიის საუკეთესო ტრადიციებს.

ს. ს. რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭო

ბრძანება

ს.ს.რ. კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრისა

№ 29 24 თებერვალი, 1935 წ.

ქ. მოსკოვი

1919 წლის ზამთარში სამხრეთის ფრონტზე შეიქმნა პირველი ცხენოსანი არმია.

პროლეტარული რევოლუციის ამ მრისხანე ძალის ორგანიზატორი, შემოქმედი იყო ამხ. სტალინი. სამხრეთის კონტრრევოლუციის განადგურების მის სტრატეგიულ გეგმაში პირველ ცხენოსან არმიას დათმობილი ჰქონდა გადამწყვეტი ადგილი. სტალინის გაბედული ანგარიშები და იმედები პირველმა ცხენოსანმა არმიამ სავსებით გაამართლა. მისი სტალინური დაულალავი მეთვალყურეობით და ხელმძღვანელობით იგი ერთი მეორეზე სცემდა მტერს გამანადგურებელ ლახვარს, რომლის სიმძიმის ქვეშაც გაიფანტნენ ანტანტის მიერ თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული სამხრეთის კონტრრევოლუციის არმიები.

დენიკინის განადგურების შემდეგ ცხენოსანი არმია აჩქარებული მარშით იგზავნება ახალი, არა ნაკლებ საშიშ საბრძოლო უბანზე თეთრპოლონელების წინააღმდეგ. აქაც, კვლავ სტალინის და ვოროშილოვის ხელმძღვანელობით ცხენოსანი არმია ქმნის სწრაფ და გადამწყვეტ გარდატეხას ფრონტზე.

უმთავრესად სწორედ ცხენოსანი არმიის გმირული გამარჯვებათა მეოხებით გაიმარჯვა პროლეტარული დიქტატურის დაცვის საქმემ იმპერიალისტური ინტერვენციის ამ უმნიშვნელოვანეს უბანზე.

ვრანგელისათვის გამანადგურებელი ლახვარის ჩაცემით ამთავრებს პირველი ცხენოსანი არმია თავის ისტორიულ გზას სამოქალაქო ომის ველებზე. „პირველი ცხენოსანი არმია — რევოლუციურ გლეხობასთან მუშათა კლასის საბრძოლო კავშირის შეურყეველი ძალის ეს აშკარა განსახიერება შევიდა კომუნიზმისათვის ბრძოლის ისტორიაში, როგორც ბოლშევიკური პარტიის სამხედრო ორგანიზაციული შემოქმედების საუკეთესო ნიმუში, როგორც ახალგაზრდა მუშურ გლეხური წითელი არმიის ტაქტიკის და ოპერატიული ხელოვნების ყველაზე უფრო მკაფიო მაგალითი.

პირველი ცხენოსანი არმიის საბრძოლო ტრადიციები ცოცხლობენ და მტკიცდებიან ჩვენს რიგებში. გმირულ დივიზიებზე, რომლებიც პირველ ცხენოსან არმიას შეადგენდნენ.

ლენინგრადის მე-4 წითელდროშოვან.

ჩონგარის მე-6 წითელდროშოვან, მე-11 წითელდროშოვან

მაიკოპის მე-14 წითელდროშოვან დივიზიებზე.

ამხ. სტალინის სახელობის პირველ განსაკუთრებულ წითელდროშოვან ცხენოსან ბრიგადაზე

ფრიალებენ იგივე ალისფერი საბრძოლო დროშები, რომლის ქვეშაც ისინი იბრძოდნენ სამოქალაქო ომის ძლევამოსილ ბრძოლებში.

ათასობით საუცხოვო მხედარმა, ხალხის საუკეთესო შვილებმა სახელოვანმა გმირებმა თავი დასდვეს კომუნიზმის საქმისათვის ბრძოლებში მათ შეუქმნეს დიდება თავიანთ საყვარელ ცხენოსან არმიას; ისინი იყვნენ და დარჩებიან მის დიდ სიამაყედ.

ცხენოსანმა არმიამ არ იცოდა დამარცხება. მაგრამ ცხენოსანი არმიის გმირობამ მოითხოვა მისგან უდიდესი მსხვერპლი — ათასობით სახელოვანი მებრძოლების გვერდით მამაცური სიკვდილით დაიღუპენ დაუვიწყარი გმირები:

არმიის პოლიტიკური განყოფილების უფროსი ამხ. ი. დ. პერელსონი,

ფორმირების სამმართველოს უფროსი ამხ. ა. ა. ბოგენგარდი,

ფორმირების სამმართველოს სამხედრო კომისარი ამხ. ბილიაკოვი.

მე-14 კავდივიზიის უფროსი ამხ. ა. ი. პარხომენკო,

მე-4 კავდივიზიის უფროსი ამხ. ფ. მ. ლიტუნოვი,

მე-11 კავდივიზიის უფროსი ამხ. ფ. მ. მოროზოვი,

მე-11 კავდივიზიის სამხედრო კომისარი ამხ. პ. ნ. ბახტუროვი,

მე-4 კავდივიზიის სამხედრო კომისარი ამხ. ნ. ა. მუსინი,

მე-6 კავდივიზიის სამხედრო კომისარი ამხ. შჩეპილოვი,

მე-14 კავდივიზიის შტაბის უფროსი ამხ. ფ. კ. მურზინი,

მე-14 კავდივიზიის ბრიგადის უფროსი ამხ. დ. ტ. მირონენკო,

მე-11 კავდივიზიის ბრიგადების მეთაურები ვილმუტი, ს. მ. პოტალოვი, გ. კოლპაკოვი.

მე-4 კავდივიზიის პოლკების მეთაურები: ი. ლ. [illegible], ზიბლონოვი, გ. ხოპერსკი, იაკიმოვი,

მე-6 კავდივიზიის პოლკების მეთაურები ე. ა. ვირზინი ი. გ. დოლგოპოლოვი, ვ. გ. ტროენოვი,

მე-14 კავდივიზიის კავშირგაბმულობის უფროსი ამხ. ფ. ხ. ხერი[illegible] და სახელოვანი წითელი არმიის მრავალი სხვა მეთაურები და პოლიტმუშაკები.

ისინი არ არიან ახალი ცხოვრების ცოცხალ მშე[illegible]

მაგრამ მათი საქმე ცოცხლობს ჩვენი სამშობლოს უდიდეს მონაპოვრებში, სოციალიზმის ძლევამოსილ მსვლელობაში, უდიდეს ზრდაში მუშურ-გლეხური წითელი არმიის ძლიერებისა, რომელიც მზად არის ისევე თავდადებით დაიცვას პროლეტარიატის დიადი საქმე, როგორც იბრძოდნენ მისთვის ეს ჭეშმარიტად პროლეტარული მეომრები. დავხაროთ ჩვენი საბრძოლო დროშა ცხენოსანი არმიის უდიდესი გმირების ხსოვნის წინაშე.

ვულოცავ მუშურ-გლეხური წითელი არმიის მეომრებს, მეთაურებს და პოლიტმუშაკებს ცხენოსანი არმიის 15 წლისთავს, დაე, პირველი ცხენოსანი არმიის სახელოვანი ტრადიციები გადაიქცენ მაგალითად და ნიმუშად ჩვენი ახალი მეომრებისა და მეთაურებისათვის.

ვულოცავ ცხენოსანი არმიის სა[illegible] დივიზიებს და კავკასიის განსაკუთრებულ ბრიგადას 15 წლის იუბილეს, აგრეთვე ვულოცავ უმაღლეს ჯილდოს მე-4, მე-6 და მე-11 კავდივიზიებს და ამხ. სტალინის სახელობის კავკასიის განსაკუთრებულ ბრიგადას ლენინის ორდენის მიღებას და მე-14 კავდივიზიას „წითელი ვარსკვლავის" ორდენის მიღებას.

ვულოცავ პირველი ცხენოსანი არმიის ყველა ძველ მეომარს, რომლებმაც თოფი და ხმალი შეხცვალეს ახალი სოციალისტური ცხოვრების მშვიდობიანი შექმნის იარაღით. მათ სახელოვან იუბილეს.

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ წითელარმიას!

გაუმარჯოს ჩვენს წითელ ცხენოსან არმიას!

გაუმარჯოს პროლეტარული რევოლუციის პირველ ცხენოსანს ცხენოსანი არმიის სარდალს ამხ. ბუდიონის!

გაუმარჯოს ჩვენი გამარჯვებათა ორგანიზატორს, ჩვენს დიდ სტალინს!

ს.ს.რ. კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარი

კ. ვოროშილოვი.

პირველი ცხენოსანი არმიის 15 წლისთავის აღნიშვნის შესახებ

ს.ს.რ. კავშირის ცაკის დადგენილება

პირველი ცხენოსანი არმიის 15 წლისთავის აღსანიშნავად, რომელმაც გმირულად ისახელა თავი სამოქალაქო ომში მთელი რიგი დაუვიწყარი გამარჯვებებით სამხრეთის და სხვა ფრონტებზე, და მისი ცალკეული ნაწილების, მეომრების, მეთაურების და პოლიტმუშაკების განსაკუთრებული დამსახურებისათვის, როგორც სამოქალაქო ომის დროს, ისე მშვიდობიანი მშენებლობის პერიოდში წითელი არმიის საბრძოლო, პოლიტიკური და ტექნიკური მომზადების მხრივ, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

I. დაჯილდოებულ იქნან ლენინის ორდენით:

1. ლენინგრადის ვოროშილოვის სახელობის მე-4 ცხენოსანი წითელდროშოვანი დივიზია.
2. ჩონგარის ბუდიონის სახელობის მე-6 ცხენოსანი წითელდროშოვანი დივიზია.
3. ორენბურგის მოროზოვის სახელობის მე-11 ცხენოსანი წითელდროშოვანი დივიზია.
4. სტალინის სახელობის პირველი განსაკუთრებული საგანგებო წითელდროშოვანი ცხენოსანი ბრიგადა.

II. დაჯილდოებულ იქნან პირველი ცხენოსანი არმიის ორგანიზატორები და ხელმძღვანელები ლენინის ორდენით:

1. ამხ. ვოროშილოვი კლიმენტი ეფრემის-ძე, საბჭოთა კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარი, პირველი ცხენოსანი არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს ყოფილი წევრი.
2. ამხ. ბუდიონი სიმონ მიხეილის-ძე, მუშურ-გლეხური წითელი არმიის კავალერიის ინსპექტორი, პირველი ცხენოსანი არმიის ყოფილი სარდალი.
3. ამხ. შჩადენკო ეფიმ ათანასის-ძე, ფრუნზეს სახელობის მუშურ-გლეხური წითელი არმიის აკადემიის უფროსის თანაშემწე პოლიტიკურ ნაწილში, პირველი ცხენოსანი არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს ყოფილი წევრი.

III. დაჯილდოებულ იქნან წითელი ვარსკვლავის ორდენით:

პირველი ცხენოსანი არმიის მეომრები, მეთაურები და პოლიტმუშაკები, რომლებმაც განსაკუთრებით ისახელეს თავი.

1. კოტოვი ივანე გრიგოლის-ძე, პირველი განსაკუთრებული საგანგებო კავბრიგადის მე-3 კავპოლკის ესკადრონის ყოფილი მეთაური.
2. ლისიცინი ალექსანდრე ივანეს-ძე, პირველი ცხენოსანი არმიის წითელ მეთაურთა სკოლის ტყვიამფრქვევის ყოფ. დამმიზნებელი.
3. კრეტოვი ნიკოლოზ პროკოფის-ძე მე-22 ცხენოსანი პოლკის ყოფ. მეტყვიამფრქვევე.
4. ხლეზნიოვი ი. მ., მე-4 კავდივიზიის ყოფილი ადიუტანტი.
5. ხობაკინი მაქსიმე თედორეს-ძე, მე-4 ცხენოსანი პოლკის ოცეულის ყოფილი მეთაური.
6. ზალსტროვი იური იურის-ძე, მე-80 ცხენოსანი პოლკის ოცეულის ყოფილი მეთაური.
7. შვედკოვი ტიხონი აკიმის-ძე, განსაკუთრებული კავბრიგადის პირველი ცხენოსანი პოლკის ყოფ. წითელარმიელი.
8. მერკულოვი დიმიტრი ვასილის-ძე, მე-11 კავდივიზიის მე-65 ცხენოსანი პოლკის ყოფილი მეთაური.
9. ლიტუნოვსკი ვასილ ნიკოლოზის-ძე, პირველი ცხენოსანი არმიის მომარაგების ყოფილი უფროსი.
10. კრესტოვნიკოვი ვასილი ივანეს-ძე, მე-11 კავდივიზიის ცხენოსანი პოლკის ყოფ. მეთაური.
11. კომკოვი თედორე ვასილის-ძე, ესკადრონის ყოფილი მეთაური.
12. შაპშუკოვი პარმა, პირველი კალმიკთა პოლკის ყოფ. მეომარი.
13. ბიჟენიაკოვი ტიმოთე ტიმოთესძე, პირველი ცხენოსანი არმიის ყოფ. წითელარმიელი.
14. ნაიჩუკი გიორგი გერასიმეს-ძე, პირველი განსაკუთრებული კავპოლკის ყოფ. წითელარმიელი.
15. გოლიკოვი კოზმა ვასილისძე, მე-4 კავდივიზიის ყოფ. წითელარმიელი.
16. ბატსენკოვი პეტრე ალექსანდრესძე, მე-4 კავდივიზიის ყოფ. წითელარმიელი.
17. პრასოლოვი თედორე ლავრენტისძე, მე-20 ცხენოსანი პოლკის ყოფ. წითელარმიელი.
18. ხოტიმსკაია შიფრა გრიგოლის ასული, მე-6 კავდივიზიის მე-3 ცხენოსანი პოლკის ყოფ. ექიმი.
19. დენისოვი ივანე მიტროფანისძე, კავდივიზიის დაზვერვის ყოფ. უფროსი.
20. ხახოთინი მიხეილ კირილის-ძე, მე-4 კავდივიზიის ესკადრონის ყოფ. მეთაური.
21. ზესერგენევი ანდრონ მიხეილისძე, პირველი ცხენოსანი პოლკის მეთაურის ყოფილი თანაშემწე.
22. იაჩმინი ლეონიდე ივანესძე, პირველი ცხენოსანი არმიის ჯავშოსანი ნაწილის ყოფილი მეთაური.
23. პარახინი ალექსი ნიკოლოზისძე, მე-14 კავდივიზიის პოლკის ყოფილი მეთაური.
24. ლიპკა კორნეი იაკობისძე, ტყვიამფრქვევთა გუნდის ყოფ. უფროსი.
25. კუჩერენკო ივანე პავლესძე, პირველი ცხენოსანი არმიის ყოფ. მეომარი.
26. ჩეკუნოვი პეტრე ვასილისძე, მე-4 კავდივიზიის მე-20 ცხენოსანი პოლკის ყოფილი წითელარმიელი.
27. მელენტიევი ივანე თედორესძე, მე-4 კავდივიზიის ბრიგადის მეთაურის ყოფ. თანაშემწე.
28. კრიშტოპინი მათე პახომისძე, მე-23 ცხენოსანი პოლკის ტყვიამფრქვევთა გუნდის ყოფ. უფროსი.
29. კრავჩენკო ნიკოლოზ მოსეის-ძე, მე-14 კავდივიზიის ოცეულის ყოფ. მეთაური.
30. ნიკოლაევი ნიკოლოზ ნიკოლოზისძე, პირველი ცხენოსანი არმიის საგანგებო განყოფილების ყოფ. უფროსი.
31. [illegible] ილია დიმიტრისძე, მე-4 კავდივიზიის მე-3 ბრიგადის ყოფ. სამხედრო კომისარი.
32. ხნიჩევი [illegible] მაქსიმესძე, პირველი ცხენოსანი არმიის ყოფ. სამხედრო კომისარი.
33. სადილო თედორე ივანესძე, მე-4 კავდივიზიის პოლკის ყოფ. სამხედრო კომისარი.
34. მოისეევიჩი იაკობ ილიასძე, მე-4 კავდივიზიის ცხენოსანთა საარტილერიო დივიზიონის მე-14 განყოფილების ბატარეის ყოფ. მეთაური.
35. ტროფიმჩუკი ნიკოლოზ ტიმოთესძე, პირველი ცხენოსანი არმიის ყოფ. მეომ[illegible]
36. დონსკოვი გიორგი ივანესძე, მე-4 კავდივიზიის ყოფ. სამხედრო კომისარი.
37. მედვედევი სტეფანე სპირიდონისძე, მე-14 კავდივიზიის ყოფ. წითელარმიელი.
38. ბუდნიკოვი პეტრე, მე-4 კავდივიზიის, მე-2 კავბრიგადის შტაბის ყოფ. უფროსი.
39. პლავნეკი ლ. ი., პირველი ცხენოსანი არმიის სამხედრო ტრიბუნალის ყოფ. თავმჯდომარე.

IV. დაჯილდოებულ იქნას წითელი დროშის ორდენით:

მილიანოვსკი ბ. ვ., პირველი ცხენოსანი არმიის სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარის ყოფ. მოადგილე.

V. დაჯილდოებულ იქნან სსრ კავშირის ცაკის სიგელებით:

პირველი ცხენოსანი არმიის დამსახურებული მეთაურები და პოლიტმუშაკები, რომლებსაც მუშურ-გლეხური წითელი არმიის კავალერიაში უმსახურნიათ არა ნაკლებ 15 წლისა:

გოროდოვნიკოვი ფოკა ივანესძე, **ტიმოშენკო** სიმონ კონსტანტინეს-ძე, **გორბაჩოვი** ბორის სერგეის-ძე, **კოსოგოვი** ივანე დიმიტრის-ძე, **ზოტოვი** სტეფანე ანდრიას-ძე, **ტიულენევი** ივანე ვლადიმერის-ძე, **ხერდიჩი** დანიელ თედორეს-ძე, **აპანასენკო** იოსებ როდიონის-ძე, **ხაცკილევიჩი** მიხეილ გიორგის-ძე, **ვაინერი** დიმიტრი ანანიას-ძე, **გრიაჩევი** ევსეი ივანეს-ძე, **პოპოვი** ვასილი სტეფანეს-ძე, **კნიგა** ვასილი ივანეს-ძე, **სელივანოვი** ივანე ვასილის-ძე, **ფედინი** ანდრია ტრიფონის-ძე **გოლუბოვსკი** ვასილი სტეფანეს-ძე, **შაფკინი** ტიმოთე ტიმოთეს-ძე, **რიაბიშევი** დიმიტრი ივანეს-ძე, **ემელიანოვი** გიორგი სიმონის-ძე, **ზიბინი** სიმონ პეტრეს-ძე, **ნიკიტინი** ანდრია გრიგორის-ძე, **აკატოვი** ბორის ნიკოლოზის-ძე, **აკვილანოვი** მიხეილ მიხეილის-ძე, **ორლიკოვსკი** ალექსანდრე ივანეს-ძე, **ჩერნოვი** მიხეილ ისაკის-ძე, **ზინჩენკო** არტემ სერგეის-ძე, **სუში**, ფილიპე გრიგოლის-ძე, **კოსტენკო** თედორე იაკობის-ძე, **ბიკოვსკი** ალექსანდრე თედორეს-ძე, **ლოპატინი** ანტონი ივანეს-ძე, **პარხომენკო** თეოფანე აგაპის-ძე, **ბაცკალევიჩი** ალექსანდრე ივანეს-ძე, **ჩუმაკოვი** ვიქტორ ალექსის-ძე, **კოპტელოვი** დიმიტრი კუზმას-ძე, **სკვორცოვი** გრიგოლ გრიგოლის-ძე, **ჩერევიჩენკო** ივანე ვასილის-ძე, **ერემენკო** ანდრია ივანეს-ძე, **გონჩაროვი** ვასილ სოფრონის-ძე, **კრივოშეინი** სიმონ მოსეს-ძე, **კოვალიოვი** გრიგოლ ანდრიას-ძე, **გრიშკინი** ვასილ ნიკოლოზის-ძე, **ახკალეპოვი** ვასილი სიმონის-ძე, **მალეევი** მიხეილ თედორეს-ძე, **ტრუფანოვი** კუზმა გრიგოლის-ძე, **ნოვიკოვი** ვასილ ვასილის-ძე, **შულგა** დიმიტრი თედორეს-ძე, **ნალივაიკო** ალექსანდრე მიხეილის-ძე.

წინადადება მიეცეს სამოქალაქო ომის ძეგლების დამცველ კომისიას აღნიშნოს (მონუმენტებით, ძეგლებით, მემორიალური დაფებით) პირველი ცხენოსანი არმიის უმნიშვნელოვანესი ბრძოლის ადგილები: ვორონეჟი, კასტორნაია, დონის-როსტოვი, ეგორლიკსკაია, ბერდიჩევი, ჟიტომირი, პოლონეთის ფრონტის ჯაროვის ადგილი და სხვ.

ს.ს.რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე — მ. კალინინი.

ს.ს.რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი — ა. ენუქიძე.

მოსკოვი, კრემლი.

23 თებერვალი, 1935 წ.

ცხენოსანი არმიის როლი სამოქალაქო ომში

ცხენოსანი არმიის ისტორია — ეს ჩვენი სამოქალაქო ომის საერთო ისტორიის უბრწყინვალესი ფურცლებია. ცხენოსანი არმიის უძლეველი ძლიერების წყარო — ოქტომბრის რევოლუციის ძლიერების საერთო წყარო — ეს არის ბოლომდე შეგნებული რევოლუციური პროლეტარიატი და მისი ბოლშევიკური პარტია. წითელი არმია ჩამოყალიბდა სამხრეთის ფრონტზე, უმთავრესად ცარიცინის ფრონტზე წითელი გვარდიის მოხალისე რაზმებისა და დაქსაქსულ პარტიზანულ ესკადრონებისაგან. ცარიცინთან ამხ. სტალინის და ვოროშილოვის ხელმძღვანელობით შექმნილ არმიაში 1918 წლის ოქტომბერს ირიცხებოდა 80 ათასზე მეტი მეომარი და პოლიტმუშაკი, მათ შორის 10 ათასზე მეტი კავალერისტი იყო. ცარიცინის ფრონტის ცხენოსანი პოლკებისა და ბრიგადებისაგან თავდაპირველად ვოროშილოვის ბრძანებით შეიქმნა მეოთხე ცხენოსანი დივიზია, რომლის ძირითად ბირთვს წარმოადგენდა, ბუდიონის ბრიგადა, ტიმოშენკოს პოლკი, შემდეგ აპანასენკოს მეექვსე დივიზია, რომელიც 1919 წლის ზაფხულში მოვიდა სტავროპოლის ველებიდან. ამ ორი დივიზიისაგან 1919 წლის აგვისტოში შეიქმნა ბუდიონის კორპუსი, შემდეგ ამ კორპუსისაგან, ცხენოსანი დივიზიისაგან, ფილიპოვის ცხენოსანი ჯგუფისგან, კოლესოვის კამიშინსკის ბრიგადისაგან, განსაკუთრებული ბრიგადისაგან და პარხომენკოს მე-14 ცხენოსანი დივიზიისაგან შეიქმნა ისეთი ძალა, როგორიცაა ცხენოსანი არმია. მაგრამ საჭირო იყვნენ ნამდვილი ბოლშევიკური ოსტატები, რომლებიც გლეხურ ცხენოსან ჯარს შეადუღებდენ პროლეტარული ცემენტით, გამოსჭედდენ უძლეველ დამკვრელ ნაწილებს — გმირული ეპოქის დიდებულ ძეგლს. ასეთი **ოსტატები აღმოჩნდენ სტალინი, ვოროშილოვი,** ხოლო მათი თანაშემწენი ვიყავით ჩვენ — ამ დიადი საბრძოლო მშენებლობის ქარგლები. უკვე 1918 წლის ამხ. სტალინს და ვოროშილოვს მშვენივრად ესმოდათ წითელი ცხენოსანი ჯარის მნიშვნელობა ჩვენს ბრძოლაში, რუსეთის მონარქისტული ვანდეის წინააღმდეგ. ისინი შეუდგნენ წითელი კავალერიის აღზრდას, განმტკიცებას, გამოზარდეს ისეთი მეთაური, როგორიც არის ბუდიონი, ჩვენი ეპოქის უდიდესი სარდალი. ბუდიონში განსახიერებულია ცხენოსან მეომართა შეტევითი პათოსი და რევოლუციური დისციპლინა. მედგარ, ძლევამოსილ ბრძოლებში ცარიცინთან, მამონტოვის წინააღმდეგ იზრდებოდა ჩვენი ცხენოსანი ჯარის სახელი. ისე, როგორც ახლა დნეპრომშენზე, მაგნიტმშენზე, მეტროზე, გაეშურნენ მაშინ ცხენოსან არმიაში ათასობით მოხალისენი — გმირები და მამაცები. თვით სიმონ მიხეილის ძე, რომ აღარაფერი ვთქვათ მისი, როგორც სარდლის, ნიჭზე, გვიჩვენებდა სიმამაცის საუკეთესო მაგალითებს, რომლებიც აოცებდა არა მარტო დიპლომიან მტრებს, არამედ გვაოცებდა თვით ჩვენც.

ცხენოსანი არმია შეიქმნა ტროცკის და ტროცკისტების წინააღმდეგობის მიუხედავად, რომლებიც ირწმუნებოდენ, რომ ცხენოსანი არმიები მხოლოდ გახრწნის საფრთხეს შეიცავენ. მენშევიკ ტროცკისა და მისი ნაბოლარებისათვის ეს მასობრივი, შიში, უმთავრესად გლეხთა ცხენოსანი მასების შიში დამახასიათებელი იყო. მაგრამ სტალინმა კლასობრივი ბრძოლების დიდმა სტრატეგმა და ორგანიზატორმა იმ დროს სწორად შეაფასა ცხენოსანი არმიის მნიშვნელობა და ვოროშილოვთან ერთად გამოზარდა იგი პროლეტარული რევოლუციის მტრებისთვის თავზარდასაცემად.

ცხენოსან არმიას წილად ხვდა დიდი ისტორიული ამოცანა განეხორციელებინა სტალინის გენიალური სტრატეგიული გეგმა: განადგურება, გაფანტვა დენიკინის ფრონტის. ცხენოსანი არმიის გაფთრებულმა, სისხლისმღვრელმა ბრძოლებმა პროლეტარული დონბასისათვის კი არ შეამცირეს, არამედ გაადიდეს პირველი ცხენოსანი არმიის რაოდენობა: მას შეემატა ახალი მებრძოლები - მაღაროელები, მელითონეები, უკრაინელი მოხალისეები, გლეხები. ცხენოსანი არმია ვორონეჟთან თავის რიგებში 5000 მეომარს ძლივს ითვლიდა, ხოლო როცა მაიკოპში ჩავედით, მისი რიცხვი 12 ათას კაცს აღწევდა. დონბასის მახლობლად ჩვენთან ჩამოვიდა ამხ. სტალინი, რომელიც პირადად გვიწევდა ხელმძღვანელობას. მან წითელ არმიაში მრავალი ასეული კომუნისტი ჩააბა. პირველი ცხენოსანი არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს სათავეში დაყენებულ იქნა ამხ. ვოროშილოვი, რომელსაც დონბასი ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე დიდი ხნით ადრე იცნობდა, როგორც უდიდეს ორგანიზატორს, უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რომ სათანადოდ მოაწყო, შეადგინო შტაბი, პოლიტგანყოფილებანი, არმიული პრესა, ჰოსპიტლები, უზრუნველყო მომარაგება, ასწიო მეომართა პოლიტიკური მომზადება და შეგნება, აწარმოო ბრძოლა პარტიზანულ გაწყობილებებთან. უკვე გზაში, როცა ნოვოროსიისკიდან პოლონეთის ფრონტზე მივდიოდით, ჩვენ პირველ ცხენოსან არმიაში გვყავდა ათასნახევარზე მეტი კომუნისტი. პოლონეთის ფრონტზე ცხენოსანი არმია ცოცხლოვანი ნიაღვარივით აპობდა დიდი პროლეტარულ არმიის გზას. უნდა ენახათ ჩვენს მწერლებს, მხატვრებს არა ბაბელის, არამედ ნამდვილი ბოლშევიკური თვალით, როგორ შეიჭრნენ ცხენოსანი არმიის მეომრები სოლად პოლონეთის ფრონტში, როგორ სპობდნენ ისინი ყოველგვარ ზღუდეს თავის გზაზე. პოლონეთის და ვრანგელის ფრონტზე პირველ ცხენოსანი არმიის დივიზიებმა გვიჩვენეს, რომ არ არსებობდა ისეთი ზღუდე, რომლის გადალახვა მათ თავზარდამცემი შეტევით არ შეეძლოთ. აი ამიტომ ლენინ-სტალინის სრული უფლებით შეეძლოთ დაყრდნობოდნენ ცხენოსან არმიას. მეომრების რწმენა თავისი ბელადებისა, მეთაურებისა და პოლიტიკური ხელმძღვანელობისადმი, მთელ მსოფლიოში კომუნიზმის გამარჯვების რწმენა წითელ არმიას შეურყეველ, პროლეტარული რევოლუციის მტრებისათვის თავზარდამცემ ძალად ხდიდა. **ამიტომაც ცხენოსანმა არმიამ თავისი საუკეთესო შვილების სისხლით ჩასწერა ყველაზე გმირული სახელები, ბრწყინვალე ფურცლები სამოქალაქო ომის ისტორიაში,** იმ ბრძოლის ისტორიაში რომელიც წარმოებდა პროლეტარიატის დიადი სოციალისტური სამშობლოსათვის, მასების უდიდესი გმირობით, გენიალური ბელადების ლენინის და სტალინის ხელმძღვანელობით შექმნილი მშრომელური საბჭოების ქვეყნისათვის.

პირველი ცხენოსანი არმიის რევოლუციურ სამხ. საბჭოს ყოფილი წევრი.

ე. შჩადენკო.

პირველი ცხენოსანი

სალის ველების, დონის, სტავროპოლის უღარიბესი გლეხობის და ყაზახების უფ[illegible] რევოლუციური ნაწილისაგან, დონბასის მუშა-მაღაროელთა მიერ შედუღებული წითელი პარტიზანული რაზმებისაგან, ძველი [illegible] შევიკების ხელმძღვანელობით შეიქმნა წითელი ცხენოსანი არმია.

ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით 1919 წლის ნოემბერში ეს ცხენოსანი, ჯარი გადაიქცა მძლავრ პირველ ცხენოსან არმიად — უძლეველ ძალად, რომელიც ანადგურებდა რევოლუციის მტრებს სამოქალაქო ომის ფრონტებზე.

1918 წელი.

28 თებერვალი. სიმონ მიხეილისძე ბუდიონიმ შვიდი ცხენოსანისაგან შემდგარი ჯგუფის სათავეში ღამით მოახდინა გმირული გაბედული თავდასხმა თეთრგვარდიელების მიერ დაკავებულ სტანიცა პლატოვსკაიაზე. მან გაათავისუფლა დაპატიმრებული ღარიბი გლეხები, რომლებსაც სიკვდილი ქონდათ დახვრეტა. გათენებისას **ბუდიონიმ** უკვე შეადგინა რაზმი, რომელსაც ჰქონდა 2 ზარბაზანი, 4 ტყვიამფრქვევი, 300 თოფი, 20 ათასი ვაზნა და 150 შეკაზმული ცხენი.

ივნისი. კუბერლეს რაიონში მოეწყო ამხ. ბუდიონის ცხენოსანი დივიზიონი.

ივლისი. სტავროპოლში. ვინოდელნოე დივნოეს რაიონში, პარტიზანული რაზმებისაგან მოეწყო ამხ. ნევგოდის სტავროპოლის მეორე ცხენოსანი პოლკი.

აგვისტოს დასაწყისი. სლობოდა ილინკას რაიონში მოეწყო ამხ. ბუდიონის პირველი მუშურ-გლეხური სოციალისტური პოლკი.

2 აგვისტო. ამ პოლკმა გაათავისუფლა ამხ. კოვალევის და გონჩაროვის პარტიზანული რაზმები, რომლებმაც მარტინოვკას სლობოდაში გმირულად გაუძლეს თეთრგვარდიელ ყაზახების 35 დღის ალყას. განთავისუფლებულ[illegible] შეუერთდენ ამხ. ბუდიონის პოლკს.

აგვისტო, სტავროპოლში, ალექსანდროვსკოე ბლაგოდარნოეს რაიონში; წითელი ცხენოსანი პარტიზანული რაზმებისაგან შესდგა პირველი სტავროპოლის ცხენოსანი პოლკი.

სექტემბერი. აბოგანეროვოს რაიონში მოეწყო ამხ. ბუდიონის კავკასიის ბრიგადა.

მთელ ამ პერიოდში ცხენოსანი პარტიზანული რაზმები და მათგან შედგენილი ნაწილები გაფთრებულ ბრძოლას აწარმოებენ თეთრგვარდიელებთან დონსა და სტავროპოლში და მათი შეტევის გამო იხევენ ცარიცინისაკენ, სადაც ამ დროს ცარიცინის პროლეტარიატისაგან და დონბასიდან მოსული მუშათა რაზმებისაგან, რომლებსაც, ამხ. ვოროშილოვი მეთაურობდა, შესდგა მე-10 არმია. ცარიცინის დაცვას ხელმძღვანელობას უწევდა ამხ. სტალინი. აქ, ცარიცინის კედლებთან, წითელმა ცხენოსანმა არმიამ მიიღო მტკიცე ბოლშევიკური ხელმძღვანელობა მეათე არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს მხრივ.

1919 წელი.

1918 წლიდან 1919 წლის 30 ივნისამდე. როცა თეთრგვარდიელების მიერ დაკავებულ იქნა ცარიცინი, მე-10 არმია და ცარიცინის პროლეტარიატი გმირულად იგერიებდენ თეთრგვარდიელების შემოტევას და გაუძლეს ოთხ ალყას. ამ ბრძოლაში წითელმა კავალერიამ, რომელიც აწარმოებდა ბრძოლას თეთრგვარდიელთა ძლიერ კავალერიასთან, გადამწყვეტი როლი ითამაშა.

24 მარტი. ამხ. ბუდიონის ცხენოსანი ბრიგადა, რომელიც გადაკეთებულ იქნა მე-4 ცხენოსან დივიზიად, დაჯილდოებულია საპატიო რევოლუციური **დროშით** და რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭოს **ბრძანებაში** აღნიშნულია, როგორც წითელი არმიის განსაკუთრებით მამაცი მებრძოლი ნაწილი.

26 ივნისი. ცარიცინის მისასვლელებთან ცხარე ბრძოლებში მე-4 და მე-6 ცხენოსანი დივიზიები გაერთიანებულ იქნენ ცხენოსან კორპუსში, რომლის მეთაურად დაინიშნა ამხ. **ბუდიონი.**

30 ივნისი. თეთრებმა აიღეს ცარიცინი.

3 ივლისი. დენიკინმა გასცა დირექტივა **მოსკოვზე** გალაშქრების შესახებ.

10 ივლისი. ლენინის წერილი პარტიის ყველა ორგანიზაციისადმი. „ყველა **დენიკინის** წინააღმდეგ საბრძოლველად". პარტია, მუშათა კლასი, კომკავშირი ყოველივე ძალღონეს იკრებენ **დენიკინის** წინააღმდეგ საბრძოლველად. ივლისიდან ოქტომბრამდე ტარდება პარტიის წევრების, კომკავშირის და პროფმუშაკების მობილიზაცია.

სექტემბერი. პარტიის ცენტრალური კომიტეტი სამხრეთის ფრონტზე რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრად გზავნის ამხ. **სტალინს.** ამ დროისათვის **დენიკინმა** ხელში ჩაიგდო მთელი ჩრდილო კავკასია, დონბასი და უკრაინის დიდი ნაწილი. სარდლობის გეგმით განზრახული იყო **დენიკინის** წინააღმდეგ გალაშქრება ცარიცინიდან დონის ველებით ნოვოროსიისკზე.

ამხანაგმა სტალინმა უარყო ეს [illegible] გზა ამ მიმართულებით გადიოდა დონის ველებით, ჩვენდამი მტრულად განწყობილ მიდამოებით.

ამხ. სტალინი ლენინისათვის გაგზავნილ წერილში აცნობს მას დენიკინის განადგურების თავის გეგმას: **ვორონეჟიდან** მუშური **ხარკოვით.** მაღაროელთა **დონბასით როსტოვისაკენ** ჩვენდამი სიმპატიებით განწყობილ მიდამოებით. ამ მიმართულებით წითელი არმია ისარგებლებს რკინის გზების ფართო ქსელით იმ დროს, როცა მიმართულება ცარიცინიდან ნოვოროსიისაკენ განსხვავდება უგზოობით.

ამხ. სტალინის გეგმა დამტკიცებულ იქნა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ.

18 ოქტომბერი. ფრონტის ხაზი გადის **ცარიცინ-ვორონეჟ-ორიოლ-ჩერნიგოვ-კიევის** მიმართულებით, ამ ხაზზე უფრო აქტიურია დენიკინის წინ სვლა.

10-26 ოქტომბერი. ასრულებდა რა ამხ. **სტალინის** გეგმას, წითელი არმიის დამკვრელმა ჯგუფმა ლატიშთა მსროლელი დივიზიის, ამხ. პავლოვის ბრიგადის და ამხ. **პრიმაკოვის** ცხენოსანი ბრიგადის შემადგენლობით. **ორიოლ - კრომის** რაიონში გაანადგურა **დენიკინის** საუკეთესო მოხალისეთა ნაწილები.

24 ოქტომბერი. ამხ. ბუდიონის საკავალერიო კორპუსმა აიღო ვორონეჟი.

5-15 ნოემბერი. კასტორნაიასთან ბუდიონის კავალერიამ გაანადგურა დენიკინის საუკეთესო კავალერია - გენერლების მამონტოვის და შკუროს გაერთიანებული კორპუსები. **ორლოვ - კრომსკის, ვორონეჟის და კასტორნაიას** ოპერაციებმა, რომლებიც შესრულებულ იქნენ ამხ. **სტალინის** გეგმის მიხედვით, საფუძველი ჩაუყარეს დენიკინის მთელი ფრონტის განადგურებას.

ნოემბერი. კასტორნაიასათვის წარმოებული ბრძოლების პერიოდში ცხენოსანი კორპუსის რიგებს შეემატა პროლეტარული შევსება— მე-11 ცხენოსანი დივიზია, რომელიც შედგენილ იქნა **ტულის, მოსკოვის და ივანოვო - ვოზნესენსკის** პროლეტარებისაგან.

17 ნოემბერი. ამხანაგ **სტალინის** ინიციატივით ცხენოსანი კორპუსიდან (მე-4, მე-6 და მე-11 ცხენოსანი დივიზიებიდან) შეიქმნა პირველი ცხენოსანი არმია. არმიის სარდლად დაინიშნა ამხ. **ბუდიონი,** რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრებად — ამხ. **ვოროშილოვი და შჩადენკო.**

დეკემბერი. პირველმა ცხენოსანმა არმიამ, რომელიც სდევნიდა თეთრებს, გაათავისუფლა დონბასი, მოეწყო პირველი ცხენოსანი არმიის პოლიტგანყოფილება. პოლიტგანყოფილების პირველი უფროსი — ამხ. **პერელსონი.**

1920 წელი.

6 იანვარი. წითელმა კავალერიამ დაიკავა ტაგანროგი.

7 იანვარი. გენერლის [illegible] და სულტან - სალაში წარმოებს გაფთრებული ბრძოლები, **როსტოვის** მისასვლელებთან.

8 იანვარი. პირველი ცხენოსანი არმია შევიდა **როსტოვში.**

თებერვალი. 200 კილომეტრის მანძილზე შემოუარეს თეთრებს, რომლებმაც **ბატაისკის** მახლობლად შეაფარეს თავი. შემოვლა ჩატარდა სალის დაუსახლებელი ველებით 30 გრადუსიან ყინვაში. გენერალ პავლოვის და **კრიჟანოვსკის** თეთრგვარდიელთა კავალერიის განადგურება. თეთრები იძულებული არიან დასტოვონ **ბატაისკი.**

1 მარტი. ეგორლიკსკის სადგურთან პირველმა ცხენოსანმა არმიამ მე-10 არმიის ნაწილებთან ერთად საბოლოოდ გაანადგურა და გაფანტა დენიკინის ჯარების ნაშთები.

22 მარტი. აღებულ იქნა **მაიკოპი.**

27 მარტი. წითელი არმია შევიდა **ნოვოროსიისკში.** მოხდა **სამხრეთის** ფრონტის ლიკვიდაცია.

8 აპრილი. პირველ ცხენოსან არმიას პარტია **მაიკოპიდან გზავნის** პოლონეთის ფრონტზე. წითელმა კავალერიამ გაიარა 1000 კილომეტრი და გზაში აწარმოებდა ბრძოლას უკრაინელი კულაკობის ბანდებთან.

25 მაისი. ცხენოსანმა არმიამ თავი მოიყარა **უმანის** რაიონში.

5 ივნისი. პოლონეთის ფრონტის გარღვევა **სკვირის** რაიონში და პოლონეთის ჯარების ზურგში შეჭრა. ამ გარღვევამ უზრუნველჰყო სამხრეთ - დასავლეთის ფრონტის ყველა არმიების საერთო შეტევა.

10 ივნისი. პოლონეთის მესამე არმიამ დასტოვა კიევი.

27 ივნისი. დაკავებულ იქნა **ნოვგოროდ - ვოლინსკი.**

4 ივლისი. დაკავებულ იქნა ქალაქი **როვნო.**

არმიის მატიანე

სექტემბერი. ცხენოსანი არმია ფარავს მე-12 და მე-14 არმიების დახევას და საშუალებას არ აძლევს პოლონეთის ნაწილებს განავითარონ წარმატება.

ოქტომბერი. პოლონეთთან დროებითი ზავის დადების შემდეგ წითელმა არმიამ თავი მოიყარა **ბერდიჩევის** რაიონში და აქიდან გადასროლილ იქნა ვრანგელის ფრონტზე. კვლავ 500 კილომეტრი გზა ბერისლავლისაკენ.

28 ოქტომბერი. პირველი ცხენოსანი არმიის ნაწილები გადავიდნენ მდინარე დნეპრზე ბერისლავთან.

30-31 ოქტომბერი. შეუპოვარი ბრძოლები ვრანგელის ნაწილებთან. სამხრეთის ფრონტის სარდლის ამხ. **ფრუნზეს** გეგმის მიხედვით პირველ ცხენოსან არმიას უნდა გაენადგურებინა ვრანგელის ნაწილები და არ მიეცა მათთვის საშუალება დაეხიათ ყირიმის ყელისაკენ. ვრანგელმა, რომელმაც დასტოვა 20 ათასამდე ტყვე, 100 ზარბაზანი, შესძლო გაესულიყო ყირიმში.

8, 9, 11 ნოემბერი. წითელი ქვეითი ჯარების მიერ **პერეკოპის** და **ჩონგარის** ყელების გარღვევის შემდეგ პირველი ცხენოსანი არმია შეიჭრა ყირიმში და დაამთავრა ვრანგელის განადგურება.

1921 წელი.

1920 წლის ნოემბრის დამლევიდან 1921 წლის მაისამდე პირველი ცხენოსანი არმია განუწყვეტელ ბრძოლას აწარმოებდა უკრაინელი კულაკობის ბანდებთან. აწარმოებდა რა ბრძოლას ბანდებთან, არმია აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა შრომის ფრონტზე. იგი აქტიურ [illegible] ხებს თესვის კამპანიაში, ატარებდა შაბათობებს და სხვა.

მზადება საგაზაფხულო თესვისათვის

მასობრივი კვალიფიკაციის კადრები საკოლმეურნეო სოფელს

თესვა დაიწყო

ტფილისისა და გურჯაანის რაიონები თებერვლის მეოთხე ხუთდღიურში შეუდგნენ საგაზაფხულო თესვას.

20 თებერვლისათვის ამ რაიონებს დათესილი ჰქონდათ 33 ჰექტარი; აქედან ხორბალი დათესილია 16 ჰექტარზე, ქერი — 11 ჰექტ., და ბოსტნეული — 6 ჰექტ..

საერთო რაოდენობიდან ტფილისის რაიონს დათესილი აქვს 30 ჰექტ. (ხორბალი, ქერი, ბოსტნეული), ხოლო გურჯაანისას — 3 ჰექტ.

33 ჰექტარიდან კოლმეურნეობებში დათესილია 19 ჰექ., ერთპიროვნულ მეურნეობებში კი 14 ჰექტ.

დროზე მოვამზადოთ საკოლმეურნეო კადრები

წელს საგაზაფხულო სას. სამ. კამპანიასთან დაკავშირებით, საქართველოში უნდა მომზადდეს და გადამზადდეს 7.805 კაცი. მათ უნდა გაიარონ ერთ თვიანი, ზოგან კი 15 დღიანი კურსები.

გარდა ამ მასობრივი კვალიფიკაციის კადრებისა, სტაციონალურ სკოლების საშუალებით გამოშვებულ უნდა იქნას ტრაქტორის ბრიგადირი — 70, ტრაქტორისტი—598, მექანიკოსი — 86, კომბაინერი —54; საკოლმეურნეო სკოლების საშუალებით კი — 490 საკოლმეურნეო ბრიგადირი, 174 ფერმის გამგე, 669 მოანგარიშე და კოლმეურნეობის თავმჯდომარე — 157.

სტაციონალურ და საკოლმეურნეო სკოლებიდან ამ კადრების გამოშვება მოხდება თებერვლის ბოლო რიცხვებში.

როგორია, ამ დავალებათა შესრულების ფაქტიური მდგომარეობა?

20 თებერვლისათვის გეგმით გათვალისწინებულ 7805 კაციდან მეცადინეობაში ჩაბმული იყო 6.950 კაცი (გეგმის 85.7 პროც.) არიან რაიონები, რომლებმაც დავალება ამ დარგში სანიმუშოდ შეასრულეს. მაგ. თელავის რაიონ[illegible] გეგმით კურსებზე უნდა ჩაება 193 კაცი, ფაქტიურად მეცადინეობს — 227, ახალციხეში ჩაბმულია 156 კაცი, ნაცვლად 145 კაცისა. ასეთი მაჩვენებლები აქვს **ქიათურის და ზესტაფონის** რაიონებსაც.

მაგრამ ამასთანავე ზოგან ჩვენ ვხედავთ მასობრივი კვალიფიკაციის კადრების მომზადების და გადამზადების შეუფასებლობის ფაქტებს. მაგ. **ლანჩხუთის რაიონს (მიწგანის გამგე ამხ. წილოსანი),** რომელსაც კურსებზე 137 კაცი უნდა მოეზიდა, მიწსახკომისათვის ამ საქმის დაწყების შესახებ ჯერ კიდევ არავითარი ცნობა არ გამოუგზავნია. კურსებზე ჩაბმის შესახებ ცნობების მოწოდებაზე არც სამხრეთ - ოსეთის სამიწათმოქმედო განყოფილებას შეუწუხებია თავი; **აფხაზეთში 520 კაციდან მეცადინეობს მხოლოდ — 158.**

ტექნიკური კადრების მომზადების შეუფასებლობას აქვს ადგილი ბორჩალოს რაიონში. ამ რაიონის მტს-ს (დირექტორი ამხ. ანდღულაძე) გეგმით სკოლაში (ტრაქტორისტის კვალიფიკაციის მისაღებად) უნდა გაეგზავნა 15 კოლმეურნე, ფაქტიურად გაგზავნა მხოლოდ 5. — ეს იმ დროს, როცა რაიონი ტრაქტორისტების დიდ რაოდენობას მოითხოვს. უფრო ცუდი მდგომარეობა არის **აბაშის** რაიონში, საიდანაც სკოლაში 10 კაცის ნაცვლად გაგზავნეს — ერთი.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ ზოგიერთი რაიონების პარტიული ორგანიზაციები უყურადღებოდ ეკიდებიან კადრების მომზადებას.

მართალია, გასულ წლებთან შედარებით მასობრივი კვალიფიკაციის კადრების მომზადება საერთოდ რესპუბლიკაში უფრო ორგანიზებულად მიმდინარეობს, მაგრამ ცალკე რაიონებში, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ამ საქმეს ჩაშლის საფრთხე მოელის.

საჭიროა რაიკომებმა, მიწგანებმა და მტს-ის დირექციებმა ყველა ზომა მიიღონ კურსების მთლიანად დაკომპლექტებისათვის, გადაჭრით გააძლიერონ ბრძოლა ახალი კადრების დროზე მომზადებისათვის, ყოველმხრივ ხელი შეუწყონ სკოლებს მეცადინეობის მაღალხარისხოვნად დამთავრებაში.

□ □ □

საქ. მიწსახკომის ხარემონტო სახელოსნოს დამკვრელი, ტრაქტორების ძრავის ამწყობი ამხ. პ. სამისონიძე. რემონტის გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის დაჯილდოებულია 200 მანეთით.

□ □ □

საგანგაშო მდგომარეობა თესლის გაწმენდაში

(საქ. მიწსახკომის ცნობების მიხედვით)

სათესლე მასალის გაწმენდა საქართველოში ძალზე დაუშვებელი ტემპით მიმდინარეობს. 20 თებერვლისათვის გეგმით გათვალისწინებულ 245.795 ცენტნერი თესლიდან გაწმენდილი იყო მხოლოდ 53.252 ცენტნერი, რაც რესპუბლიკური გეგმის 21,7 პროცენტს შეადგენს. გასაწმენდი სათესლე მასალის დიდი ნაწილი — 236.256 ცენტ. — მოდის აღმოსავლეთ საქართველოზე).

სათესლე მასალის გაწმენდის შესახებ მიწსახკომში ცნობები ჯერ კიდევ არ გადმოუგზავნია **ზუგდიდის** (გასაწმენდი აქვს 22.500 ცენტნერი), **ადიგენის, სიღნაღის, თელავის, ბორჩალოს, ლუქსემბურგის, დუშეთის, თიანეთისა და ხონის რაიონებს.**

ხოლო იქ, სადაც მიმდინარეობს თესლის გაწმენდა, გეგმის შესრულება ძალზე ცუდ მაჩვენებლებს იძლევა. მაგ. **ახალციხის** რაიონს გეგმით მიცემულ 9.655 ცენტნერი თესლიდან გაწმენდილი აქვს მხოლოდ 30 ცენტნერი, **აღბულაღის** რაიონში გაწმენდილია 91 ცენტნერი, ფაქტიურად გასაწმენდი აქვთ, 7.406 ცენტნერი.

სათესლე მასალის გაწმენდას ჩამორჩა მოელის ერთპიროვნული მეურნეობების ხაზით. 167.657 ცენტნერი თესლიდან მათ გაწმენდილი აქვთ 14.291 ცენტ. (8.5 პროც.). აღმაშფოთებელია ის, რომ 20 თებერვლისათვის აღმოსავლეთ საქართველოს 17 რაიონის ერთპიროვნულ მეურნეებს თესლის გაწმენდა არ ჰქონდათ დაწყებული. თესლის შეწამვლა საქართველოს მხოლოდ 3 რაიონში დაწყებული (ტფილისი, გურჯაანი, თელავი).

ყოველივე ეს ჰქმნის აშკარა საფრთხეს — დათესონ გაუწმენდავი და შეუწამლავი თესლი.

თესვის დაწყებამდე ცოტა დრო დარჩა. ზოგიერთი რაიონი კი უკვე შეუდგა ამ საქმეს.

ეს გარემოება ავალებს რაიონების პარტიულსა და სამიწათმოქმედო ორგანიზაციებს გადაჭრით გააძლიერონ ყურადღება თესლის გაწმენდა - შეწამვლისადმი და კონკრეტული ხელმძღვანელობით ყოველ მიზეზს გარეშე უზრუნველყონ მოსავლიანობის გადიდების — ამ დიდი ღონისძიების დროზე დამთავრება.

კოლმეურნე ლაზარიაშვილი ყიდულობს პიანინოს

თელავი, 22 აპრილი. წითელ კისისხევის კოლმეურნეობის წევრი ამხ. ლაზარიაშვილმა შრომადღეების ანგარიშში კოლმეურნეობიდან მიღებულ ზედმეტ სასოფლო - სამეურნეო პროდუქტების გაყიდვის შემდეგ მშვენივრად მორთო თავისი ეზო და სახლკარი.

უკანასკნელად ამხ. ლაზარიაშვილმა გადაწყვიტა შეიძინოს პიანინო: ამ მიზნით იგი ახლახან **სპეციალურად გაემგზავრა ტფილისში.**

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ში

მოსკოვი, 22 თებერვალი, მოსკოვის ორგანიზაციებმა მოახსენეს მთავრობას და საკ.კ.პ.(ბ)ც.კ-ს, რომ მოსკოვის მეტროპოლიტენის პირველი რიგის მშენებლობა დამთავრდა და რომ იგი მზად არის საექსპლოატაციოდ.

ს.ს.რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ და საკ.კ.პ.(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დანიშნეს მთავრობის კომისია მეტროპოლიტენის მისაღებად ამხ. ვალერი ივანესძე **მეჟლაუკის** თავმჯდომარეობით შემდეგი შემადგენლობით:

1. სიმონ ზაქარიასძე **გინზბურგი** — გზათა სახალხო კომისარიატის სამშენებლო მრეწველობის მთავარ სამმართველოს უფროსი.
2. ალექსანდრე მიხეილისძე **პოსტნიკოვი.** —გზათა სახალხო კომისრის მოადგილე.
3. ალექსანდრე ვასილისძე **ვინტერი,** აკადემიკოსი, — მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის ჰიდროენერგომშენის მთავარ სამმართველოს უფროსი.
4. ბორის ევგენისძე **ვედენეევი,** აკადემიკოსი — მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის ჰიდროენერგომშენის მთავარ სამართველოს მთავარი ინჟინერი და ამ სამმართველოს უფროსის მოადგილე.
5. ილია ბორისისძე **კაგანი,** ინჟინერი — მაღაროთმშენის ტრესტის მმართველი.
6. ალექსანდრე ფედორისძე **ბულატი,** ინჟინერი — გზათა სახალხო კომისარიატის სიგნალიზაციის და კავშირგაბმულობის უფროსის მოადგილე.
7. ალექსანდრე ალექსანდრესძე **სკოჩინსკი** — მოსკოვის სამთო ინსტიტუტის პროფესორი და ქვანახშირის მრეწველობის მეცნიერ-ტექნიკურ მუშაკთა საკავშირო გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილე.
8. ალექსანდრე მიტროფანისძე **ტერპიგორევი,** პროფესორი — მოსკოვის სამთო - ინსტიტუტის დირექტორი.
9. გირშ ტიმოთესძე **შმერგორინი,** ინჟინერი —გზათა სახალხო კომისარიატის ახალი სარკინიგზო მშენებლობის ცენტრალური სამმართველოს უფროსი.
10. დიმიტრი ალექსანდრესძე **შტანგე,** ინჟინერი — წევისინსტიტუტის პროფესორი.
11. ვსევოლოდ მიხეილისძე **კელდიში** — სამხედრო-საინჟინერო აკადემიის პროფესორი.
12. ალექსანდრე დიმიტრისძე **მუდალოვი** — მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის ტექნიკური საბჭოს თავმჯდომარე.

ამჟამად წარმოებს მეტროს მატარებლების სასწავლო მიმოსვლა, მომსახურე პერსონალის ინსტრუქტაჟი, ლიანდაგის და სამუხრუჭო მოწყობილობათა საბოლოოდ შემოწმება, ავტობლოკირების და სიგნალიზაციის ხელსაწყოთა რეგულირება.

მთავრობის კომისიის მიერ მეტროპოლიტენის მიღების დამთავრების შემდეგ მარტის პირველ ნახევარში მოხდება მოსკოვის მეტროპოლიტენის გახსნა.

დეპეშების გაცვლა

ამხ. ეიდემანსა და თურქეთის აერონავტიკის თავმჯდომარეს ბ—ნ ფუადს შორის

მოსკოვი, 22 თებერვალი. თურქეთის აერო - ნავტიკის ლიგის ათი წლისთავის შესრულების გამო ს. ს. რ. კ-ის თავდაცვა - ავიაქიმის ცენტრალურ საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. რ. პ. ეიდემანმა და თურქეთის აერონავტიკის ლიგის თავმჯდომარემ ბ-მა ფუადმა ერთმანეთს დეპეშებით მიმართეს:

საავიაციო ლიგას - ანკარა.

კეთილინებეთ მიიღოთ ჩემი გულწრფელი მილოცვა საავიაციო ლიგის ათი წლისთავის გამო, აგრეთვე ჩემი საუკეთესო სურვილები ლიგის ნაყოფიერ მუშაობისა და მეგობარ თურქეთის რესპუბლიკის ავიაციის წარმატებისათვის.

ეიდემანი, ს. ს. რ. კ. - ის თავდაცვა ავიაქიმის თავმჯდომარე.

პასუხად მიღებულია შემდეგი დეპეშა

ეიდემანს თავდაცვა-ავიაქიმის თავმჯდომარეს მოსკოვი

მიიღეთ ჩემი გულითადი მადლობა თქვენი მოლოცვისათვის თურქეთის აერონავტიკის ლიგის ათი წლისთავის გამო, აგრეთვე ჩემი საუკეთესო სურვილები მეგობარი ერის ავიაციისა და ს. ს. რ. კ-ის საყოველთაოდ ცნობილი ავიაციის განვითარებისათვის.

მიიღეთ ჩემი პატივისცემა.

ფუადი, თურქეთის აერონავტიკის ლიგის თავმჯდომარე.

„ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი დიურანტი საბჭოთა კავშირში საკოლმეურნეო მოძრაობის შესახებ

ნიუ-იორკი, 22 თებერვალი. „ნიუ-იორკ-ტაიმსის" მოსკოველი კორესპონდენტი დიურანტი წერს, რომ დამკვრელ კოლმეურნეთა ყრილობამ დაგვანახვა საკოლმეურნეო მოძრაობის გარკვეული და სანიმუშო წარმატება. ეხება რა ანტი-საბჭოთა ჭორებს საბჭოთა კავშირში არსებული შიმშილობის შესახებ, დიურანტი წერს:

„პურის და სხვა პროდუქტების ბარათების გაუქმება მოწმობს, რომ საბჭოთა კავშირს მოეპოება საკმაო სურსათის და მოცულეული უდიდესი მარაგი. ამასწინათ,— წერს დიურანტი, — გერმანიის და ავსტრიის პრესამ განაახლა თავისი პროპაგანდა საბჭოთა კავშირში შიმშილობის შესახებ. მე ბერლინში გავიგონე, რომ ამ კამპანიისათვის იყენებენ ძველი წარმოშობის ფოტოგრაფიულ სურათებს. როგორც აღნიშნავენ, ზოგიერთი მათგანი 1921 წლის პერიოდსაც კი ეკუთვნის, როცა ადგილი ჰქონდა შიმშილობას პოვოლჟიეში. ეს—ანტისაბჭოთა პროპაგანდისტების საყვარელი ტრიუკია".

საჭიროა აღინიშნოს, რომ ამასწინათ ჰერსტის პრესამ გამოაქვეყნა ასეთი ყალბი ფოტოგრაფიული სურათები (ადს).

—○—

ბერლინი გაბოროტებულია

ბერლინი, 22 თებერვალი. საბჭოთა ნოტამ ინგლის-საფრანგეთის წინადადებათა გამო ბერლინში მეტად ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. ის პრესის ყურადღების ცენტრში მოექცა. პრესა, ერიდება რა პირდაპირ პოლემიკაში ჩაბმას, ცდილობს შეასუსტოს ამ ნოტით გამოწვეული შთაბეჭდილება გაბოროტებული თავდასხმებით საბჭოთა სამშვიდობო პოლიტიკაზე. „ფოლკიშერ ბეობახტერის" აზრით, საბჭოთა დიპლომატია „დღემდე საერთოდ გვევლინებოდა როგორც ისეთი ელემენტი, რომელიც უკიდურეს დაბრკოლებას ქმნიდა". გაზეთის აზრით საბჭოთა ნოტა „იძლევა საბაბს დიდი საშიშროებისთვის", მაგრამ ამ თავის საშიშროებათა შესახებ ოფიციოზი ამჯობინებს არაფერი თქვას.

გაზეთების განსაკუთრებულ უკმაყოფილებას იწვევს ლონდონის პოლიტიკურ წრეებში გავრცელებული ხმები იმის შესახებ, რომ საიმონი ჯერ ბერლინისა გამგზავრება აგრეთვე მოსკოვშიც. „რაინიშ-ვესტფალიშე ცაიტუნგის" ლონდონელი კორესპონდენტი აცხადებს: „არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ საბჭოთა დიპლომატიამ უკვე [illegible] თვეებში შესძლო შეექმნა ინგლისში, ისევე როგორც პარიზში, უაღრესად გავლენიანი მეგობრები პოლიტიკურ წრეებში" (ადს).

განიარაღების კონფერენციაზე

ამხ. შტეინის გამოსვლა ამერიკის პროექტის საკითხის შესახებ

ჟენევა, 21 თებერვალი. დღის ეგრეთწოდებულ ზოგად მოსაზრებათა კომისიის მეორე სხდომაზე ირჩეოდა ამერიკის პროექტი განიარაღების მუდმივი კომისიის შექმნის შესახებ. მთელი რიგი არსებითი მოსაზრებებით გამოვიდა საბჭ. დელეგატი ამხ. შტეინი. ამხ. შტეინმა განაცხადა, რომ საბჭოთა დელეგაცია განიარაღების კონფერენციის მუშაობის დაწყებიდანვე და ჯერ კიდევ მოსამზადებელი კომისიის სხდომებზეც ემხრობოდა განიარაღების მუდმივი კომისიის შექმნას და მოიგონა თავისი მონაწილეობა 1933 წ. ნოემბერში იმ თათბირის მუშაობაში, რომელმაც გამოიმუშავა ამჟამად ამერიკის პროექტში მოქცეულ მუხლების უმეტესი ნაწილი. შემდეგ ამხ. შტეინმა აღნიშნა, რომ საბჭოთა დელეგაციის უცვლელი აზრით, განიარაღების მუდმივი კომისიის შექმნა უნდა ყოფილიყო არა დასაწყისი, არამედ დასასრული საერთო კონვენციისა შეიარაღების შემცირებისა და შეზღუდვის შესახებ. აქედან ცხადია, რომ საბჭოთა დელეგაციის თვალსაზრისით [illegible] იქნებოდა გადაწყვეტილების გამოტანა ასეთი კომისიის შექმნის შესახებ. რომელიც ვალდებულია კონტროლი გაუწიოს და უზრუნველყოს სახელმწიფოების მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულება საერთო კონვენციის ძალით, რამდენადაც ჯერ კიდევ გაურკვეველია ასეთი კონვენციის [illegible].

„ამის შემდეგ, — განაგრძობს ამხ. შტეინი — ძნელი არ არის იმის გაგება, თუ რატომ წარმოგვიდგენია საბჭოთა დელეგაციამ გამახვილებულად მშვიდობიანობის მუდმივი კონვენციის პროექტი. თუმცა ჯერ კიდევ გამომუშავებული არ არის არავითარი საერთო კონვენცია განიარაღების შესახებ.

მოვლენები, რომელთა მოწმენიც ჩვენ ამჟამად ვართ და რომლებიც წინ უძღვიან აზრთა გაცვლა-გამოცვლას [illegible] ევროპის სხვადასხვა საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის, ჩემი აზრით მოწმობენ ჩვენი პოზიციის საფუძვლიანობას და ნათლად გვიჩვენებენ, რომ შეუძლებელია დაყოფილი იქნეს მთლიანი კომპლექსი, დაკავშირებული მშვიდობიანობის საერთო ორგანიზაციასთან. საბჭოთა დელეგაციას შეუძლია მხოლოდ მწუხარება გამოთქვას იმის გამო, რომ განიარაღების შეკვეცის კონვენციის განხილვის ნაცვლად ჩვენ ვკამათობთ შეკვეცილი კონვენციის შესახებ. ვუყურებთ რა ნივთებს ისე, როგორც ისინი არიან, ჩვენ გამოვთქვამთ იმედს, რომ შევძლებთ ამ კონვენციის, რომელიც წარმოადგენს საერთო კონვენციის შესავალ ნაწილს, მივცეთ საკმაო ძალა და ეფექტურობა. და ამ აზრით საჭიროდ მიმაჩნია ხაზი გავუსვა პირველხარისხოვან მნიშვნელობას, რომელსაც ჩვენ ვაძლევთ რეალური და ქმედითი კონტროლის პრინციპს. საბჭოთა დელეგაცია არ გამოთქვამს თავის აზრს საბოლოოდ ამერიკის პროექტით გათვალისწინებული მუდმივი კომისიის შექმნის შესახებ. სანამ საკმაო სიზუსტით არ იქნება გარკვეული კომისიის ამოცანათა მოცულობა სახელმწიფოების მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესაბამისად".

კომისიამ, თავმჯდომარე ბურკენის წინადადებით, გადასდო მუშაობის გაგრძელება. იმ დრომდე, სანამ გამოირკვევა შედეგები დისკუსიისა ამერიკის პროექტის გამო სათანადო კომისიის მიერ იარაღის წარმოებისა და ვაჭრობაზე კონტროლის ორგანიზაციის შესახებ. უკანასკნელი კომისიის მორიგი სხდომა ხვალ შესდგება.

ჟენევა, 22 თებერვალი. საერთო მოსაზრებათა კომისიის სხდომაზე ამხ. შტეინის შემდეგ გამოვიდა საფრანგეთის წარმომადგენელი [illegible], რომელმაც განაცხადა, რომ საფრანგეთისა და საბჭოთა დელეგატებს შორის უთანხმოება არ არსებობს ამ საკითხში, რომელიც განხილვის საგანს შეადგენს. (ადს).

—□—

ამერიკის პროექტის განხილვა ჟენევაში

ჟენევა, 22 თებერვალი. იარაღის წარმოების და ვაჭრობის რეგლამენტაციის და ორგანიზაციის კონტროლის კომისიამ დაამთავრა ამერიკის იმ პროექტის მეორე თავის კითხვა, რომელიც ეხება წარმოების კონტროლის ორგანიზაციის პრინციპებს. კამათმა დაგვანახვა, რომ მხარეების [illegible], როგორც ეს საერთო დისკუსიის დროს გამოირკვა, არ შეცვლილა. კომისიის სხდომა შესწყდა 15 მარტამდე (ადს).

—□—

რეიტერის სააგენტოს ცნობა ინგლისის მთავრობის ღონისძიებათა შესახებ

ლონდონი, 22 თებერვალი. რეიტერის სააგენტოს გადმოცემით. ინგლისის მთავრობამ დიპლომატიური წარმომადგენლების მეშვეობით დამყარებული აქვს კონტაქტი გერმანიის, იტალიის და საბჭოთა კავშირის მთავრობებთან. აგრეთვე საფრანგეთის მთავრობასთან იმ შემდგომი ნაბიჯების შესახებ. რომლებიც გადადგმულ უნდა იქნას ევროპაში შექმნილი დაძაბული მდგომარეობის შესასუსტებლად. რეიტერის სააგენტოს სიტყვით თუმცა გერმანიის პოზიციის შემდგომი გამორკვევა სასურველი იყო. მაგრამ არა ჰგავს საფუძველი, ვვარაუდოთ ახალ ნოტას ამ სტადიაზე. ლონდონში დიდ ყურადღებას აქცევენ საიმონის დამოგზაურობის პერსპექტივას ბერლინსა და მოსკოვში (საიმონს შეიძლება თან გაჰყვეს მეორე მინისტრიც), მაგრამ გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ არის მიღებული. არსებული ცნობებით. ინგლისის ელჩმა ბერლინში [illegible] ჰიტლერსა და საიმონს შორის მოსალოდნელი მოლაპარაკების სფეროს შესახებ. არის იმის ნიშნები, რომ ჰიტლერი მზადაა განიხილოს როგორც საერთო შეთანხმება, ისე საჰაერო კონვენციის პროექტი. რაც შეეხება აღმოსავლეთ ევროპაში ურთიერთდახმარების პაქტებს. ლონდონის ოფიციალურ წრეებში ფიქრობენ, რომ არსებული პაქტები შეიძლება [illegible] მოლაპარაკებისათვის [illegible] აზრით. ინგლისის მთავრობა ალბად [illegible] ევროპაში [illegible] პაქტების [illegible] საქმეს (ადს).

□ □ □ □

იტალია-აბისინიის ომი. აბისინიის არმიის რაზმი.

□ □ □ □

პოლონეთის პრესა საფრანგეთთან და საბჭოთა კავშირთან დაახლოების საჭიროების შესახებ

ვარშავა, 22 თებერვალი. უკანასკნელ დღეებში შესამჩნევი ხდება პრესის იმ ნაწილის თანდათანობითი გამოფხიზლება. რომელიც აღფრთოვანებული იყო რა გერმანიის მანევრით, ფიქრობდა, რომ გერმანიის დიპლომატიამ შესძლო აღემართა ზღუდე საფრანგეთსა და ინგლისს შორის და ამასთან ერთად აეფეთქებინა აღმოსავლეთის პაქტი. ახლა საბჭოთა ნოტის გამოქვეყნების შემდეგ, ლონდონის კაბინეტის გადაწყვეტილების და პრესის გამოხმაურების შემდეგ, რაც ინგლისიდან და საფრანგეთიდან მოდის, პოლონეთის პრესა უკვე ლაპარაკობს გერმანიის მანევრის დამარცხებაზე.

აღნიშნავენ რა ხელსაყრელ გავლენას, რომელიც საბჭოთა ნოტამ მოახდინა საფრანგეთის და ინგლისის საზოგადოებრივ აზრზე, გაზეთები გაძლიერებული ინტერესით ადევნებენ თვალყურს ცნობებს ბრიტანეთის მინისტრების მოსკოვში გამგზავრების შესაძლებლობის შესახებ, ამავე დროს ისინი გამოსთქვამენ აზრს, რომ ინგლისის მთავრობის წარმომადგენლები, რომლებიც მოსკოვში მიემგზავრებიან, შეჩერდებიან აგრეთვე ვარშავაში. „გაზეტა ვარშავსკა" წერს: „საფრანგეთის და საბჭოთა კავშირის მჭიდრო თანამშრომლობა, რაც უკანასკნელ დროს შესამჩნევია თითქმის ყველა, უფრო მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხებში, უაღრესად დამახასიათებელ მოვლენად ხდება. პოლონეთის დიპლომატიას არ შეუძლია არ მიაქციოს ამას ყურადღება, ვინაიდან საფრანგეთთან და საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის პრობლემა წარმოადგენს პოლონეთის საგარეო პოლიტიკის ერთერთ მთავარ პრობლემას. სამწუხაროდ. პოლონეთის დიპლომატიის ტაქტიკური შეცდომები ძალიან აძნელებენ სათანადო გამოსავალი წერტილის გამონახვას იმისათვის, რომ პოლონეთის დიპლომატიამ განსაზღვროს თავისი აქტიური პოზიცია ამ მოვლენის მიმართ" (ადს).

—□—

უთანხმოება როზენბერგის ჯგუფისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს შორის

ლონდონი, 22 თებერვალი. ზოგიერთ წრეებში ხაზგასმით აღნიშნავენ უთანხმოების გაძლიერების ნიშნებს როზენბერგის ჯგუფსა და საგარეო საქმეთა სამინისტროს შორის. უთანხმოებათა არსებობა აქ იძლევა იმის ფიქრის საბაბს, რომ ნეირატის დარბაზობას ლონდონში მეტი ფასი ექნება, ვიდრე საიმონის დარბაზობას ბერლინში. „დეილი ტელეგრაფის" ბერლინელი კორესპონდენტი წერს, რომ ხელმძღვანელი ცნობების მიხედვით. როზენბერგის გავლენა კვლავ ძლიერდება. (ადს).

—○—

აზრთა გაცვლა-გამოცვლა

პარიზსა და ლონდონს შორის გერმანიის პასუხის გამო

ლონდონი, 22 თებერვალი. ჯერ კიდევ გრძელდება აზრთა გაცვლა - გამოცვლა პარიზსა და ლონდონს შორის ლონდონის წინადადებაზე გერმანიის პასუხის გამო. მიღებული ცნობების თანახმად. საფრანგეთის მთავრობამ ლონდონში გაგზავნა დეტალური ნოტა იმ საკითხებისა. რომლებიც, საფრანგეთის აზრით, გამორკვეულ უნდა იქნეს. (ადს).

30 საბჭოთა რკინიგზელის განთავისუფლება

ხაბაროვსკი, 21 თებერვალი. როგორც ხარბინიდან იუწყებიან, 17 თებერვალს რკინიგზის პოლიციამ გაათავისუფლა აღმოსავლეთ ჩინეთის რკინიგზის 30 საბჭოთა მოსამსახურე, რომელთა უმრავლესობა დაპატიმრებული იყო გასული წლის აგვისტოსა და სექტემბერში. განთავისუფლებულებს შორის არის ექვსი სადგურის უფროსი: სადგურ პოგრანიჩნაიას უფროსი — **კალმიკოვი,** ხაილარის—**კრავეც** და მისი მოადგილე **გრომოვი,** სადგურ მადაოშის—**[illegible],** სადგურ მულამძიანის უფროსი—**რიაზანცევი,** სოჩინის ახანსნაე უფროსი **ვარიჩევი,** სადგურის უფროსების ოთხი თანაშემწე, მოქ. შოლომი, რომელიც ჯერ კიდევ ივლისში დააპატიმრეს ხარბინში, სადგურ პოგრანიჩნაიას უფროსის თანაშემწე—სელივესტროვი, სადგურ [illegible] უფროსის თანაშემწე—ოლეინიკი, სოჩინის [illegible] სადგურის მორიგე—ივლევი, ლიანდაგის დარგის უფროსი—ნიკოლაევი, [illegible] დეპოს უფროსი — გორობეცი. მუდანძიანის მეტეოროლოგიური სადგურის გამგე კურაშოვი. მატარებლების შემამოწმებელი ლეშენკო. პლიშაკოვი. შმარკო ჩიჩაიევი. მატვეენკო. სალიანდაგო [illegible] გზის ოსტატი აზაროვი. სალიანდაგო დარგის, არტელის ძამასახლისი მამინოვი და ტკაჩევი. ლიანდაგის დარგის მუშები ბოროდინი კურაშოვი. კონდრაშოვი. პოსოხოვი, მეისრე დოროგინი. დარაჯი ფილიპოვი [illegible] ტარასენკო. კანტორის [illegible] და ტელეგრაფის [illegible] სტარუხინი (ადს).

გერმანიამ ღირსეული გაკვეთილი მიიღო

ლონდონის წინადადების საბჭოთა შეფასების გამო

პრაღა, 22 თებერვალი გაზეთები ესალმებიან საბჭოთა მთავრობის ნოტას, რომელიც ლონდონის წინადადებათა შეფასებით გადაეცა ინგლისის და საფრანგეთის მთავრობებს ამის შესახებ გაზეთები იტყობინებიან შემდეგი სათაურებით **„გერმანიამ ღირსეული გაკვეთილი მიიღო", „გერმანიის მანევრი ჩაიშალა"**.

ჟენევა, 22 თებერვალი საბჭოთა მთავრობის მიერ ლონდონისა და პარიზისათვის გადაცემულმა ნოტამ განსაკუთრებით ხელსაყრელი შთაბეჭდილება მოახდინა ერთა ლიგის წრეებში კერძოდ. იგივე უნდა ითქვას იმ გამოხმაურების შესახებ, რომელიც მან ჰპოვა მცირე და ბალკანეთის ანტანტების წრეებში. ისეთი რეაქციული და საბჭოთა კავშირისადმი [illegible] მტრულად განწყობილი ორგანო. როგორიცაა „ჟურნალ დე ჟენევ" —იძულებულია თავის ლონდონის კორესპონდენციებში აღნიშნოს საბჭოთა კავშირის გამოსვლის დიდი დადებითი ეფექტი.

ტოკიო, 22 თებერვალი **„ძი-ძიმ", „კოკუმინმა", „ხოციმ"** და **„ციუგაი ხიოგიომ"** დაწვრილებით გამოაქვეყნეს ცნობა. საბჭოთა მთავრობის მიერ ლონდონის შეთანხმების შეფასების შესახებ. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს ცნობა დღეს აგრეთვე გადასცა ტოკიოს რადიო-გადამცემმა სადგურმა (ადს).

—○—

„გერმანიას პოლონეთი დაღუპვისაკენ მიჰყავს“

პრაღა, 21 თებერვალი ბენეშთან დაახლოვებული გაზეთი „ლიდოვე ნოვინი" ათავსებს თავისი მოსკოველი კორესპონდენტის სტატიას სათაურით „გერმანიას პოლონეთი დაღუპვისაკენ მიჰყავს" კორესპონდენტი ამბობს, რომ გერმანია-პოლონეთის კავშირი წარმოადგენს გერმანიის იმ ნამდვილი გეგმების საფარს. რომელიც მას აღმოსავლეთისაკენ ექსპანსიის სფეროში აქვს მოკავშირის ნიღაბით გერმანიას პოლონეთი მიჰყავს საბჭოთა კავშირთან ომისაკენ, გულში კი ფარულად პოლონეთის კრახის იმედი აქვს.

კორესპონდენტის სიტყვით, გერმანიის რეიხსვერმა ძალიან კარგად იცის საბჭოთა წითელი არმიის ნამდვილი ძლიერება.

„ჩვენი ცნობებით, — წერს კორესპონდენტი, — **ტუხაჩევსკის სიტყვის შემდეგ ჰიტლერმა რეიხსვერის სპეციალისტებისაგან მიიღო მოხსენება, რომელშიც აღნიშნულია. რომ წითელი არმია სავსებით მომზადებულია როგორც შორეულ აღმოსავლეთში. ისე დასავლეთში"**

კორესპონდენტის სიტყვით. რეიხსვერი [illegible] გერმანიის [illegible] კოლონიური [illegible] პოლონეთის [illegible] გერმანიის [illegible] ბალტიის [illegible] ვარშავაში [illegible] საბჭოთა [illegible] პოლონეთის [illegible] გერმანიის [illegible].

კორესპონდენტის [illegible] „პოლონეთს კიდევ აქვს [illegible] აღმოსავლეთის პაქტის [illegible] პოლონეთი [illegible] აღმოსავლეთის პაქტს [illegible] (ადს).

—○—

პოლონეთ-საბჭოთა სასაზღვრო კონვენციის ოქმის დამტკიცება

ვარშავა, 21 თებერვალი სეიმმა [illegible] პოლონეთ-საბჭოთა კავშირის 1924 წლის სასაზღვრო კონვენციის [illegible] პოლონეთ-საბჭოთა კავშირის 1934 წლის 1 დეკემბრის საბჭოთა შეთანხმება (ადს).

ინგლისის პრესა ესალმება საიმონისა და იდენის გამგზავრებას მოსკოვში

ლონდონი, 22 თებერვალი. საბჭოთა მთავრობის განცხადება და ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის მოსკოვში გამგზავრების შესაძლებლობა [illegible] რომლებიც [illegible] გაზეთების ცნობებში „ტაიმსი" აქვეყნებს საბჭოთა მთავრობის განცხადების სრულ ტექსტს იუწყებიან. რომ ეს განცხადება განხილულ იქნა კაბინეტის უკანასკნელ სხდომაზე. **„მორნინგ პოსტის"** დიპლომატიური თანამშრომელი წერს:

„ინგლისის მთავრობა. რომელმაც ახლა საბოლოოდ აიღო ხელი იმ აზრზე. რომ [illegible] ცალკე მოლაპარაკება საჰაერო პაქტის შესახებ. ბერლინშიც და მოსკოვშიც შეეცდება [illegible] მაგრამ მოლაპარაკება ხანგრძლივი და ძნელი იქნება და ცოტაა იმის შანსები. რომ იგი დამთავრდეს 14 ოქტომბრამდე — როცა ძალაში შევა გერმანიის გამოსვლა ერთა ლიგიდან. „დეილი ჰერალდის" აზრით ცხადია. რომ აღმოსავლეთის პაქტი [illegible] თვალსაჩინო და. შეიძლება გადამწყვეტ როლსაც ითამაშებს მოლაპარაკებებში" საბჭოთა კავშირთან და საფრანგეთთან —წერს გაზეთი.—გარკვეულად გვაგონებს. რომ აღმოსავლეთის პაქტი [illegible] სასიცოცხლო საჭიროებად [illegible] უნდა იქნას გამოსავალი [illegible] ჩიხიდან და ეს არ შეიძლება გაკეთდეს მარტო ბერლინში „ასე. რომ საბჭოთა კავშირში დარბაზობას ეძლევა გერმანიაში დარბაზობიდან მიღებული ლოგიკური დასკვნის ხასიათი" [illegible]. ვინაიდან პარიზსა და მოსკოვში უკვე [illegible] ეჭვები. რომ სწორი პოლიტიკა იქნებოდა კავშირის დაუყოვნებლივ დადება საფრანგეთსა საბჭოთა კავშირსა და მცირე ანტანტას შორის".

„მანჩესტერ გარდიანი" ესალმება ინგლისის მინისტრის მოსკოვში გამგზავრების პროექტს გაზეთის სიტყვით საბჭოთა მთავრობის განცხადება მოწმობს, რომ [illegible] მზად არის საბჭოთა კავშირი ითანამშრომლოს საყოველთაო მშვიდობიანობის განმტკიცების საქმეში.

„სასურველია, — წერს გაზეთი.—რომ ინგლისის და საბჭოთა მთავრობებმა განიხილონ აღმოსავლეთ ევროპის მშვიდობიანობის მთელი პრობლემა, სანამ დაიწყებოდეს საბოლოო მოლაპარაკება ლონდონის წინადადებათა შესახებ საბჭოთა კავშირის ეჭვები ინგლისის მიმართ დიდია. ეს ეჭვები დარჩა ინტერვენციის შემდეგ არაფერს შეუძლია მათი ისე გაფანტვა, როგორც ინგლისის მინისტრის გამგზავრებას მოსკოვში ასეთი დარბაზობა არ ყოფილა ომამდელი პერიოდის შემდეგ".

„ნიუს კრონიკლი" აგრეთვე ესალმება აზრს საიმონის მოსკოვში გამგზავრების შესახებ ცხადია. — წერს გაზეთი. რომ უაზრობა იქნება ვეცადოთ მშვიდობიანობის უზრუნველყოფას დასავლეთში. თუ ომს შეუფერხებლად შეეძლია [illegible] აღმოსავლეთში „დეილი ჰერალდის" სიტყვით ასეთი დარბაზობა უკვე დიდიხნის საჭიროა საერთო მოსაზრებათა [illegible], როგორც საერთაშორისო [illegible] აქტი და იმის [illegible], რომ ინგლისის და საბჭოთა კავშირის ურთიერთობა [illegible]. [illegible] საბჭოთა [illegible] რომ მშვიდობიანობა [illegible] სოლიდს არ ყოფილა [illegible] როგორც ახლა. (ადს).

—○—

ავსტრიის პრესა ათავსებს

საბჭოთა კავშირის პასუხს ინგლის - საფრანგეთის წინადადებაზე

ვენა 21 თებერვალი გაზეთები თვალსაჩინო ადგილზე ათავსებენ იმ პასუხის [illegible] საბჭოთა კავშირმა ინგლისის და საფრანგეთის მთავრობებს ლონდონის შეთანხმების გამო [illegible] „[illegible]" ათავსებს საბჭოთა [illegible] „საბჭოთა კავშირი [illegible] ინგლისის და საფრანგეთის [illegible] ევროპაში [illegible]" (ადს).

იაპონიის ცნობა ჩიტასა და ულან-ბატორს შორის რკინიგზის გაყვანის შესახებ

ტოკიო, 19 თებერვალი. „ნიჩი - ნიჩი" სადგურ მანჯურიადან მიღებულ ცნობაში აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის და გარე - მონღოლეთის მთავრობებს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე, საბჭოთა კავშირი შეუდგა ჩიტა-ულან - ბატორის რკინიგზის მაგისტრალის გაყვანას 2 ათასი კილომეტრის მანძილზე. ცნობაში ნათქვამია, რომ წარმოებს მასალის [illegible] ზიდვა უსურიის და ზაბაიკალიეს რკინიგზებთან. მშენებლობაზე მუშაობს ბევრი მანჯურიელი და [illegible]. რკინიგზა. — დაასკვნის გაზეთი, — გაამტკიცებს კავშირს საბჭოთა კავშირსა და გარე-მონღოლეთს შორის და მაშასადამე, მას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.

„იზვესტიის“ კომენტარიები

„იზვესტიას" რედაქციის მიერ მიღებული ცნობით, კომპეტენტურ საკავშირო ორგანოებს არავითარი ცნობები არ მოეპოებათ ჩიტა-ულან-ბატორის (ურგა) რკინიგზის მაგისტრალის აშენების შესახებ. აგრეთვე იმის შესახებ, რომ ამ საკითხზე დადებული იყოს შეთანხმება საბჭოთა კავშირსა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას შორის. მთელი ინფორმაცია წარმოადგენს მანჯურიის ცნობილი წრეების მორიგ ჭორს, ალბათ, იმ გაძლიერებულ ინტერესთან დაკავშირებით. რომელსაც უკანასკნელ დროს იჩენენ ისინი მონღოლეთის საკითხებისადმი. (ადს).

—○—

საბჭოთა კავშირი და მექსიკა

ნიუ-იორკი, 22 თებერვალი მექსიკის კომპარტიის ორგანოს „მაჩეტე" გადმოცემით, მექსიკის პრეზიდენტმა კარდენასმა მუშათა დელეგაციასთან საუბრის დროს აღნიშნა, რომ მექსიკის მთავრობას განზრახული აქვს დაამყაროს ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან (გაზეთ „მაჩეტე" რამდენიმე წლის აკრძალვის შემდეგ ახლა ხელახლა ლეგალიზებული).

საკავშირო-სასოფლო სამეურნეო გამოფენის მომზადებისადმი მიძღვნილი თათბირი

მოსკოვი, 21 თებერვალი 31 სახალხო კომისარიატის მუშაკები და პრესის წარმომადგენლები [illegible] საბჭოთა კავშირის მიწსახკომში სა-[illegible] თათბირზე [illegible] სახალხო კომისრის ამხ. ჩერნოვის თავმჯდომარეობით [illegible] გამოფენა [illegible] საკავშირო სასოფლო-სამეურნეო [illegible] გამოფენის მომზადებისადმი. რომელიც [illegible] 1937 წელს [illegible] აკადემიკოსი [illegible] პროფესორი [illegible] სასოფლო-სამეურნეო [illegible] კოლმეურნეობათა [illegible] აგრეთვე არქიტექტორები, სახალხო [illegible] (ადს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონის ტყვიამფრქვევ ახეულის წითელარმიელები დასვენების დროს.

○ ○ ○ ○

საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი

მეშვიდე ტურის შედეგები

7 ყურადღების ცენტრში ბოტვინიკის და შვეციის ჩემპიონ შტალბერგის პარტია. შტალბერგმა აირჩია [illegible] დამუშავებული ვარიანტი, მაგრამ მაინც ვერ შესძლო პარტიის გათანაბრება. წამოეგო შედარებით მარტივ კომბინაციაზე, დაკარგა ორი მხედარი ეტლში და დანებდა.

კაპაბლანკამ პირცთან ვერ შესძლო თავისი მცირეოდენი უპირატესობის გამოყენება და დასთანხმდა ყაიმზე. ლასკერმაც ვერ შესძლო მოეგო პარტია ზუსტად მოთამაშე რაბინოვიჩისათვის,—პარტია ყაიმით დასრულდა.

კანი და შპილმანი შეთანხმდენ ყაიმზე ძე-30 სვლაზე. ვერა მენჩიკმა მიიღო მორიგი მეშვიდე ნული რაგოზინისაგან.

შეუღრობიანად ვითარდებოდა გოგლიძისა და ლევენფიშის პარტია, რომელიც ყაიმით დასრულდა. ვენგრიელ ჩემპიონმა ლილიენტალმა დაამარცხა ჩეხოვერი. ალატორცევმა მოუგო რიუმინს ლისიცინ-რომანოვსკის პარტია ყაიმით დასრულდა.

გადადებულია ფლორისა და ბოგატირჩუკის პარტია, ბოგატირჩუკისათვის რამოდენიმედ უკეთეს მდგომარეობაში.

მეხუთე ტურში გადადებულ ლისიცინ-კაპაბლანკას პარტიაში უკანასკნელს აქვს მოგებული მდგომარეობა.

მეშვიდე ტურის შემდეგ ტურნირის მდგომარეობა ასეთია: ბოტვინიკი +6½, ლევენფიში +5, ფლორი +4½ (1 გად.). ლასკერი და რაგოზინი +4½, ლილიენტალი +4 (1 გად.), რიუმინი +4, კაპაბლანკა და ლისიცინი +3½ (1 გად.), შპილმანი და კანი +3½, გოგლიძე +3 (1 გად.), რაბინოვიჩი და რომანოვსკი +2½ (1 გად.), შტალბერგი და ჩეხოვერი +2, ბოგატირჩუკი +1½ (2 გად.), ვერა მენჩიკი +0.

დღეს მერვე ტურში თამაშობენ: რომანოვსკი - რაგოზინი, შპილმანი — ლასკერი, კაპაბლანკა — კანი, რაბინოვიჩი — ბოგატირჩუკი, რიუმინი — გოგლიძე, ლევენფიში — ლისიცინი, ფლორი — ჩეხოვერი, შტალბერგი — ლილიენტალი, ბოტვინიკი — ალატორცევი, მენჩიკი — პირცი.

—o—

გაიხსნა ბამბეული ქსოვილების გამოფენა

1934 წელს საბჭოთა კავშირის ბამბის მრეწველობამ ქვეყანას მისცა 2.870 მილიონი ბამბის ქსოვილი, მე-2 ხუთწლედის დამლევამდე ბამბის მრეწველობაში დაბანდებული იქნება 3.450 მილიონი მანეთი და 1937 წელს ამ მრეწველობამ ქვეყანას 5.800 მილიონი მეტრი ქსოვილი უნდა მისცეს.

მრეწველობის პროდუქციის რაოდენობით ზრდასთან ერთად პროლეტარული სახელმწიფო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს პროდუქციის ხარისხს. ამ მიზნით სისტემატიურად იწყობოდა მრეწველობის და მოვაჭრე ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირები, რომ მრეწველობისათვის მიეცათ მითითება, წაეყენებინათ მოთხოვნები და დახმარებოდნენ მას პროდუქციის ხარისხის და ასორტიმენტის გაუმჯობესებაში.

ამ ზომამ ნაყოფი გამოიღო. მაგრამ არა საკმაო. ის თათბირები უფრო ბიუროკრატიულ ხასიათს ატარებდენ და მათი მეშვეობით ვერ მოხერხდა მშრომელი მასების ნამდვილი მოთხოვნილების გამორკვევა.

და აი ბამბის მრეწველობამ გადაწყვიტა უშუალოდ მივიდეს მომხმარებლებთან, თავიდან ბოლომდე გააცნოს მათ თავისი პროდუქცია, მიიღოს მათი შეფასება, მიიღოს მათი რჩევა, მიიღოს მათი დაკვეთები.

ამ მიზნით „სოიუზხლოპსბიტი" სისტემატიურად აწყობს ბამბის ქსოვილების გამოფენა — კონფერენციებს კოლმეურნეთათვის.

ტფილისში გუშინ გაიხსნა „სოიუზხლოპსბიტის" საქართველოს ბაზის მიერ მოწყობილი გამოფენა — კონფერენცია ტფილისის ახლომდებარე რაიონების კოლმეურნეთათვის.

ღარიბ ებრაელთა დამხმარე კლუბის დარბაზში საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის წარმომადგენელმა ამხ. ცაგურიამ „სოიუზხლოპსბიტის" საქ. ბაზის დირექტორმა ამხ. დოლობერიძემ და „სოიუზხლოპსბიტის" ა.-კ. განყოფილების მართველმა მელიქოვმა გუშინ საღამოს რაიონებიდან გამოგზავნილ კოლმეურნე-დელეგატებს აუხსნეს გამოფენა — კონფერენციის მიზანი და ამოცანები.

კოლმეურნე დელეგატები გამოცდილ პრაქტიკოს საქონელმცოდნეთა ხელმძღვანელობით დღის ბოლომდე შეუდგებიან გამოფენაზე წარმოდგენილ ქსოვილ ექსპონატების დათვალიერება - შესწავლას.

საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის კულტურისა და ლენინიზმის პროპაგანდის განყოფილება იტყობინება, რომ

რედაქტორების თათბირი

დანიშნული 26 თებერვლისათვის, გადადებულია. თათბირის მოწვევის დღე დამატებით გამოცხადდება.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის კულტურისა და ლენინიზმის პროპაგანდის განყოფილება.

გამოძიება

ზაჰესის სადგურზე მომხდარი კატასტროფის საქმის შესახებ

17 თებერვალს ზაჰესის სადგურზე მომხდარი სამგზავრო მატარებლის კატასტროფის შესახებ ამიერ-კავკასიის რკინისგზის ტრანსპორტის პროკურორმა ამხ. მაკაროვმა განაცხადა:

— სამგზავრო მატარებლის კატასტროფა ზაჰესის სადგურზე შრომის დისციპლინის ძალზე შესუსტების, გზის მთელი რიგი აგენტების უპასუხისმგებლობის და ტექნიკური ექსპლოატაციის წესების უაღრესად უხეში, ყოვლად შეუწყნარებელი დარღვევის პირდაპირი შედეგი იყო.

მემანქანე ნანობაშვილს და მის მოადგილეს დარტმელიძეს ავჭალა-ზაჰესის გადასარბენზე მატარებელი მიჰყავდათ გაძლიერებული სისწრაფით ვერ შესძლეს შემადგენლობის შეკავება, რის შედეგად მოხდა სატვირთო და სამგზავრო მატარებლების შეჯახება შემოსასვლელ (სტალინისის მხრიდან) ისართან, მთელი რიგი წესები დაარღვიეს სატვირთო მატარებლის მთავარმა კონდუქტორმა და მატარებლის უკანა ვაგონის კონდუქტორმა, რომლებმაც არ დაამუხრუჭეს ვაგონები და სხვ.

კატასტროფის მეორე მიზეზი იყო ის, რომ სადგურის მორიგემ (სადგურის უფროსის თანაშემწე) ებრალიძემ, წესის წინააღმდეგ, დაუშვა სადგურზე ორი მატარებლის ერთდროულად მიღება.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ზაჰესის სადგურზე მომხდარ კატასტროფაში დანაშაული მიუძღვის არამარტო მემანქანეს, მის მოადგილეს, სადგურის მორიგეს და სხვებს. ამ საქმეზე წარმოებულმა გამოძიებამ გამოარკვია, რომ აღნიშნული მარცხისთვის პასუხისმგებელ პირთა წრე გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე ამას ვფიქრობდით. გამოძიებამ გამოარკვია, რომ ზაჰესის სადგურზე არსებობდა მატარებლების მიღების თავისი „წესი" და სისტემატიურად არღვევდენ ტექნიკური ექსპლოატაციის ძირითად წესებს, რომლის მიხედვით დაუშვებელია ორი მატარებლის ერთდროულად მიღება. ზაჰესის სადგურის უფროსმა გაბუნიამ იცოდა ეს, მაგრამ არ იღებდა ზომებს ტექნიკური ექსპლოატაციის ამ წესების დარღვევის აღმოსაფხვრელად. ეს არ შეიძლება არ სცოდნოდა აგრეთვე მოძრაობის რევიზორს ნიკოლაიშვილს, რომელიც მიუხედავად ამისა, არა თუ არ ღებულობდა ზომებს ორი მატარებლის ერთდროულად მიღების პრაქტიკის წინააღმდეგ, რასაც ადგილი ქონდა სადგურზე, არამედ თავისი უმოქმედობით ხელს უწყობდა კიდეც ამ „წესს".

ზაჰესის სადგურზე მომხდარი კატასტროფა გაფრთხილება უნდა იქნეს ამიერ-კავკასიის რკინისგზის ყველა მოსამსახურისათვის.

გამოძიება კატასტროფის საქმის შესახებ უახლოეს დღეებში დამთავრდება. (ადს).

ძერჟინსკის რაიონის (მოსკოვი) მე-86 სკოლამ საბჭოთა კავშირში პირველმა მოაწყო საბავშვო აეროკლუბი, რომელიც ამზადებს ნორჩ პლანერისტებს, პარაშუტისტებს და ავიამოდელისტებს. აეროკლუბის წევრებად ღებულობენ მხოლოდ სწავლის [illegible] მოწაფეებს. კლუბს აქვს სპეციალური პლანეროდრომი. მთავრდება საბავშვო საპარაშუტო კოშკის აგება.

სურათზე: ზევით—კლუბის წევრ სერიოჟა კრიუჩკოვის პლანერი ფრენის დროს; ქვევით—ტასია გროშკინა საპლანერო წრის ყველაზე აქტიური წევრი.

○ ○ ○ ○

საქ. საფეიქრო მრეწველობა იწყებს

მაღალხარისხოვანი ქსოვილების გამოშვებას

საფეიქრო მრეწველობის სამმართველოსთან გამოყოფილია სპეციალური კომისია, რომელსაც დავალებული აქვს დაამუშაოს საკითხი საქ. საფეიქრო ფაბრიკებში (ტფილისის მაუდ-კამვოლისა და ქუთაისის მაუდის ფაბრიკები) ახალი ასორტიმენტის მაღალხარისხოვანი ქსოვილების გამოშვების შესახებ. კომისიაში შედიან:—საქ. საფეიქრო სამმართველოს, საფეიქრო ფაბრიკების, სამკერვალო მრეწველობის სამმართველოს და სახელმწიფო გამსაღებელი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

კომისია ამუშავებს ღონისძიებებს იმისათვის, რომ ფაბრიკები გადავიდენ წმინდა მატყლის ქსოვილების გამოშვებაზე. ამისათვის სამკერვალო მრეწველობის სამმართველოში უნდა დაამუშაონ ახალი ქსოვილების სურათები და სათანადო შეკვეთები მისცენ ფაბრიკებს.

ამჟამად ტფილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკა უკვე უშვებს რამოდენიმე სახის მაღალხარისხოვან ქსოვილებს, ე. წ. ბოსტონს, ინგლისურ ტრიკოს, ინდიგოს და სხ. სულ მიმდინარე წლის განმავლობაში ტფილისის მაუდკამვოლის ფაბრიკამ უნდა მოგვცეს 991.000 მეტრი მაღალხარისხოვანი ქსოვილი.

გამოსაშვები პროდუქციის ასორტიმენტის დამუშავებას კომისია დაამთავრებს ერთ კვირაში.

○ ○ ○ ○ ○ ○ ○ ○

დამკვრელ კოლმეურნეთა მეორე საკავშირო ყრილობის დელეგატები მოსკოვის მეტროს მატარებელში.

საგაზაფხულო თესვა საბჭოთა კავშირში

მოსკოვი, 22 თებერვალი. საბჭოთა კავშირის მთელ რიგ რაიონებში უკვე დაიწყო საგაზაფხულო თესვა.

მასობრივი თესვა გაიშალა კრასნოდარსკის რაიონის თითქმის ყველა კოლმეურნეობაში. კოლმეურნეობა „მიროვოი ოკტიაბრში" პირველ დღესვე დათესილ იქნა 7 ჰექტარი. 22 გუთანი ყოველდღე ხნავს 115 ჰექტარს.

საუცხოვო ცნობები მოდის უზბეკისტანის კოლმეურნეობებიდან. კოლმეურნეობა „იშჩის" და მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის (კატა - კურგანის რაიონი) საშემოდგომო ნათესი მინდვრები მწვანე ჯეჯილით დაიფარა. ზამთრის განმავლობაში არ დაღუპულა არც ერთი ჰექტარი ნათესი. კოლმეურნეობა „იშჩის" კოლმეურნეები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ თვითმფრინავებიდან დათესილ მინდვრებს. აეროთესვა რაიონში პირველად ჩატარდა და კოლმეურნეები მოუთმენლად ელოდენ შედეგებს. ახლა ეს მასივი განირჩევა სწრაფი ზრდით და საუცხოვო ჯეჯილით. რამდენიმე დღის შემდეგ აეროთესვისათვის მოხნული იქნება 800 ჰექტარი (ადს).

სხვადასხვა

ქუჩების ასფალტირების სამუშაოებს ტფილისის საგზაო მეურნეობის ტრესტი იწყებს 1-ლ მარტიდან. პირველ რიგში გადაწყვეტილია ჩელუსკინელების ქუჩისა და ხიდის ასფალტირება.

1145 ლიტრა რძეს ღებულობენ ყოველდღიურად ტფილისის ფაბრიკა - ქარხნების მუშები, საავადმყოფოები და სასადილოები. გაზაფხულიდან რძის გაცემის ნორმა გადიდებული იქნება.

#**მუშათა სასახლის ახლანდელი** შენობის სასტუმროდ გადაკეთების ხელმძღვანელად მოწვეულია ინჟ. ხმირინოვი, რომლის პროექტითაც აგებულია მუშათა სასახლის შენობა.

#**ტფილისის საბჭოსთან** არსებულ საბინაო მეურნეობის სამმართველოში შედგენილი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, მიმდინარე წლის განმავლობაში სახლების შესაკეთებლად დახარჯული უნდა იქნეს 4 მილიონ ნახევარი მანეთი. აქედან 3 მილიონი სახლთა ტრესტების ხაზით და 1.500.000 მანეთი საბინაო კოოპერაციის ხაზით.

სოხუმის რაიონში, ახალ ათონში აგებული სანატორიუმი „აფხაზეთი". სანატორიუმით წლიურად სარგებლობს 780 კაცი. სურათზე: სანატორიუმ „აფხაზეთის" ერთი ხედი.

○ ○ ○ ○ ○

ფიზკულტურა და სპორტი

ფიზკულტურა სახ. უნივერსიტეტში

პარტიის მიერ გამოტანილმა დადგენილებამ ფიზკულტურული მუშაობის გაუმჯობესების შესახებ, შესამჩნევად გამოაცოცხლა ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზკულტურულ წრეების მუშაობა.

ახლახანად დაისახა სასპორტო ტექნიკის დაუფლება და უნივერსიტეტის დირექციაც დიდის ენერგიით შეუდგა მის რეალიზაციას.

უმაღლეს სასწავლებლების საკავშირო კონკურსში ტფილისის უნივერსიტეტმა შესძლო მე-7 ადგილის დაკავება, რისთვისაც დაჯილდოებულ იქნა ჯილდოთ და გარდამავალი დროშით.

უნივერსიტეტში შეკეთდა სასპორტო დარბაზი, რომელიც ტფილისში საუკეთესოდ შეიძლება ჩაითვალოს. ჩამოყალიბდა სასპორტო სკოლა, რომელიც აერთიანებს მძლეოსნობის, ძალოსნობის, ტანვარჯიშობის, სასპორტო თამაშობათა, ფარიკაობის და სხვა სექციებს. ხელმძღვანელებად მოწვეული არიან სპორტის საუკეთესო ოსტატები **იოსელიანი**, **ზაუტაშვილი** და სხ.

ჩატარებულ მუშაობის შედეგად ჩამოყალიბებულია სპორტ-თამაშობათა გუნდები რომელთაგან ყურადღების ღირსია ფრენბურთისა და კალათბურთის გუნდები.

22 თებერვალს მოხდა სახუნტის სასპორტო სკოლის გახსნა. ფიზკულტუროსანთა საერთო აღლუმის შემდეგ ჩატარდა ქართულ და ფრანგულ ჭიდაობის, კრივის, ტანვარჯიშობის, ფარიკაობის და ფრენბურთელთა სექციების გამოსვლები. საინტერესო იყო სახუნტის და ტფ. ნაკრებ ფრენბურთელთა გუნდების შეხვედრა, რომელიც სახუნტის გუნდის გამარჯვებით დამთავრდა.

ფეხბურთი

„ნაკრები ტფილისი" — ტ.ს.ო.კ.

25 თებერვალს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 14 წლის თავის აღსანიშნავად, ლენინის სახელობის სტადიონზე ეწყობა ფეხბურთის მატჩი ქალაქის პირველ ნაკრებ გუნდსა და ტფილისის სამომხმარებლო ორგანიზაციათა კავშირის გუნდს შორის. ეს შეჯიბრება ერთგვარ სავარჯიშო მატჩს წარმოადგენს ფეხბურთის საგაზაფხულო სეზონის დაწყების წინ.

ნაკრები გუნდი გამოდის შემდეგი შემადგენლობით: მეკარე— **კახრაძე**, მცველები— **შავგულიძე და ნიკოლაიშვილი**, ნახევარმცველები — **ბელოვი, მინაევი, პოდშივალოვი**, თავდამსხმელები—**რამიშვილი, ყალიჩავა, ბერძენიშვილი, ფანჩაძე და პანინი.**

სათადარიგო მოთამაშეები: ჯორბენაძე, ისლამაზოვი, ბოლოტინი.

ტფილისის სამომხმარებლო ორგანიზაციათა კავშირის გუნდში შედიან: სოლონინი, მატიენკო, აკოპოვი, ღვინიაშვილი, ნ. ჩხატარაშვილი, კიკვაძე, აფრიდონიძე, ახმეტელი, შ. ჩხატარაშვილი, ლოლაძე, ჯეჯელავა.

შეჯიბრება დაიწყება დღის 1 საათზე. თამაშს სჯის ლარიონოვი.

მუშათა სასახლის ახალი შენობა

მომავალ ზაფხულზე საქ. მუშათა სასახლე, სადაც მოთავსებული არიან სხვადასხვა პროფესიული კავშირები და საქ. პროფსაბჭო, გადადის ახალ შენობაში. მუშათა სასახლისათვის გამოყოფილია ერთერთი ყველაზე დიდი შენობა ქალაქში მუშათა და გლეხთა ინსპექციის ყოფ. სახლი (რუსთაველის პროსპ. № 24).

დაწყებულია და ივნისში უნდა დამთავრდეს აღნიშნული შენობის კაპიტალურად შეკეთება და რეკონსტრუქცია. მუშათა სასახლის ახალ შენობაში მოწყობილი იქნება ერთი დიდი დარბაზი, მცირე დარბაზი და კონფერენც-დარბაზი პლენუმების სხდომებისათვის.

ხელოვნება

მუსიკალური სატირის თეატრის გასტროლები.

სახელმწიფო მოძრავი მუსიკალური სატირის თეატრი (**მ. ჭიაურელის და დ. ძნელაძის ხელმძღვანელობით**) 21 თებერვალს საგასტროლოდ გაემგზავრა დასავლეთ საქართველოში. ამ მოგზაურობის დროს თეატრი წარმოდგენებს მოაწყობს აგრეთვე აფხაზეთში და აჭარისტანში.

რკინის გზის დირექციამ თეატრისათვის გამოყო სპეციალური ვაგონი. თეატრის რეპერტუარი განახლებულია შემდეგი პიესებით: **ს. ფაშალიშვილის „თავი სიზმარში მეფია"**, „საიქიო" და სხვა ავტორთა ნაწარმოებნი: „ქორწილი", „ცრუპენტელა", „დელეგატი მართა" და სხვ.

მოგზაურობის დროს, თესვის კამპანიასთან დაკავშირებით, თეატრი მხატვრულ მომსახურებას გაუწევს კოლმეურნეობებს.

ტფილისელი მომღერლები ლენინგრადში

ტფილისის სახელმწიფო ოპერის მომღერლებმა **პ. ამირანაშვილმა, ნ. ცომაიამ და გილბერტმა** დებიუტი მიიღეს ლენინგრადის სახელმწიფო საოპერო თეატრში.

მათი სადებიუტო გამოსვლა მოხდება 25 თებერვალს ოპერა „აიდა"-ში.

—:—

ტფილისის სახელმწიფო ოპერის თეატრში ამჟამად გაძლიერებული მუშაობა წარმოებს გალევის ოპერა „რახილის" აღსადგენად. მთავარ პარტიებს ასრულებენ ს. ქუმსიაშვილი, ვოლეიკოვსკაია, ისეცკი. ოპერა წავა მარტის შუა რიცხვებში.

მარტის ბოლოსათვის დანიშნულია გ. კილაძის ახალი ორიგინალური ოპერის — „ბახტრიონის" პრემიერა, რომელშიაც მთავარ პარტიებს მღერიან ნ. ქუმსიაშვილი, [illegible]ოხაძე, პ. ამირანაშვილი და ლ. ისეცკი.

აკაკის საღამო ფოთში

17 თებერვალს ფოთის მუშათა თეატრში გაიმართა აკაკის გარდაცვალებიდან 20 წ. თავის აღსანიშნავი საღამო. საღამო გაიხსნა აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ვ. ფაჩულიას თავმჯდომარეობით.

აკაკის შემოქმედებისა და ცხოვრების შესახებ მოხსენება გააკეთეს განათლების განყოფილების გამგემ **შ. ჭავამ და ა. ქორქიამ.**

შემდეგ წაკითხულ იქნა მოგონებები აკაკიზე და აკაკისადმი მიძღვნილი ლექსები.

საღამოს დიდძალი ხალხი დაესწრო.

ქრონიკა

● **საქ. პროფსაბჭოს დადგენილებით**, ის დაწესებულებები, რომლებიც იმყოფებიან შვიდდღიან კვირაზე 25 თებერვალს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წლისთავის დღეს არ მუშაობენ.

პარტკალენდარი

— **საქ. კ.პ. (ბ) ტფილისის ორგანიზაციის ს. ორჯონიკიძის სახელობის რაიკომი** იტყობინება, რომ 26 თებერვალს, საღამოს 7 საათზე რაიკომის შენობაში შესდგება პარტგანათლების ქსელის ყველა ტიპის სკოლებისა და წრეების (მიმდინარე პოლიტიკის წრეების გამოკლებით) ხელმძღვანელთა პროპსემინარის მორიგი მეცადინეობა.

ყველა პროპაგანდისტის გამოცხადება სავალდებულოა.

ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი

დღეს 6 საათ 4 წარ	25 თებერვალს 11 საათ 9 წარ	26 თებერვალს 10 საათ 9 წარ
ქოშები	გედების ტბა	ჩიო-ჩიო-სან

[illegible]
დასაწყისი საღამოს 8 ს.

ოქტომბერი 4-30. 7-20 9-10. 11
დამკვრელი 6-30. 9-30. 11
ტემპი 6-30. 9-30 11
ლუქსემბურგის სახ. 6-30 10 30
რკ-ის კომ. სახ. [illegible]

მხიარული ხელმძღვანელობა
12 საათიდან [illegible]
ჯავშნოსანი პოტიომკინი
რეჟ. ს. ეიზენშტეინი
მეშვიდე თანამგზავრი
ოქროს მთები
ამიერ-კავკასიის ხალხთა ხელოვნებების ოლიმპიადა

რუსთაველის სახ. თეატრი

24 თებერვ. — წარმოდგენა № 93 — ოტელო
25 თებერვ. — წარმოდგენა № 94 — ჩინოშვილის გურია
27 თებერვ. — წარმოდგენა № 95 — ესკადრის დაღუპვა

სალარო ღიაა 11-2 ს. 6-9 ს. დასაწყისი 8 საათზე

24 თებერვალს 11 საათ 5 წარ	26 თებერვალს 12 საათ 5 წარ	27 თებერვალს 8 ს. 6 წარ
Tirannos	მაისტერ	განგაში

1935 წლის 25 თებერვალს წითელ არმიის ნაწილების [illegible] Tirannos
სალარო ღიაა 11—2 და 6—9 საათამდე.
დასაწყისი 8 საათზე

ს/გ „ტორგსინის" საქ. რესპ. კანტორის
ტფილისის მთავარი მ. ლავკა
შეუდგა შეკვეთების მიღებას
ამანათებით საქონლის დაგზავნაზე
საქართველოს ყველა რაიონში

შეკვეთები სრულდება უცხო ვალიუტის ფულადი გზავნილების ბარათების და გადმოგზავნილ ტორგსინის წიგნაკების წინააღმდეგ

პრეისკურანტი და დაწვრილებითი ცნობები შეკვეთებზე ეგზავნება ყველას პირველ მოთხოვნისთანავე.

შეკვეთები საქონლის ბაზარში მიიღება აგრეთვე უშუალოდ მაღაზიაში და ტელეფონით № 3-73-01

მისამართი: ტფილისი, რუსთაველის პროსპ. № 4.

79 დირექცია.

ექიმი ვ. ა. ოთხმეზური
[illegible]

ი. შეიშვილი
[illegible] № 72

აბ. ენუქიძის სახ.
ინდუსტრ. ტექნიკუმის დირექცია
აცხადებს, რომ აღნიშნულ ტექნიკუმთან
იხსნება მოსამზადებელი ჯგუფები.

განცხადებები მიიღება 1935 წ. 20 თებერვლიდან, ამავე ტექნიკუმის კანცელარიაში კალინინის ქ. № 70.

მოსამზადებელ ჯგუფებში მიღებული იქნებიან მხოლოდ 7-წლედ დამთავრებულები.

83 ტ. მ. დირექცია.

საქართველოს კომუნალური მეურნეობის კომისარიატის
სამშენებლო ტრესტი
„საქკომუნმშენი"

ამით აცხადებს, რომ მან დაარსა ქალაქ ტფილისში, სარემონტო კანტორა და ღებულობს ყოველგვარ სარემონტო სამუშაოს დაწესებულებათა და ცალკე პირებიდან ფასადების გაფორმებას და რესტავრაციას, მაღაზიების გაფორმებას, ბინების რემონტს და სხვა.

დაკვეთების მიღება სწარმოებს ყოველდღე დილის 9 საათიდან საღამოს 3 ნახ. საათამდე.

ლენინის ქ. № 11 — „საქკომუნმშენი".

82 ტრესტის მმართველი თავდგირიძე.

ექიმი
მ. ბ. სესიაშვილი
[illegible]
5—8 ს. საღ.
ტელ № 3-44
684

დაიკარგა და ჩაითვალოს გაუქმებულად [illegible] და სხვადასხვა საბუთები კოსტავას ქ. № 4

საქკვებვაჭრობის დამზადება წარმოების სექტორის თანამშრომლები იუწყებიან ამავე სექტორის თანამშრომლის ვერა მახარაძის დის

მარო მახარაძის

გარდაცვალებას. 6900

ძმა იოსები, რძალი ბარბალე, ძმის შვილები: თამარა, ნუნუ კვეკვეციები და ელენე, დისშვილები: ისაკი, ოლია, გალინა ხაჟომიები იუწყებიან

მიხა გიორგის-ძე კვეკვეციას

გარდაცვალებას. გამოსვენება 26 თებერვალს 5 ს. კუკიის სასაფლაოზე, რუსთაველის ქ. № 32. 6887

ცოლი თამარა, შვილები დათუნა და თინიკო, ძმა იოსებ დავითაშვილები იუწყებიან რომ 25 თებერვალს 1 საათზე ვერის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქ. პანაშვიდი

დავით დიმიტრის-ძე დავითაშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად. 6870

მეუღლე ეფროსინე, შვილები: ლიუბა, ვარია, ნესტორ, აკაკი (ნესტორი) იუწყებიან

ალექსი ბეჟანის-ძე ჯორჯიკიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 25 თებერვალს 4 ს. ვერის სასაფლაოზე, გამოსვენება ქალ. მე-2 საავადმყოფოდან (ყოფ. ალექსანდროვის) სამოქ. პანაშვიდი დღის 6 საათზე. 6890

შვილი ნესტორი, რძალი ზინა და შვილიშვილი დიელა იუწყებიან

ალექსი ბეჟანის-ძე ჯორჯიკიას

გარდაცვალებას. სამოქ. პანაშვიდი დღეს 6 ს. დაკრძალვა 25 თებერვალს 4 ს. ვერის სასაფლაოზე, გამოსვენება მე-2 საავადმყოფოდან (ყ. ალექსანდრ.) 6889

სიდედრი პარასკევა, ცოლისძმა კლემენტი შვილებით დგებუაძეები, ილარიონი, თამარა, გივი გაბუნიები, ვანო, ლილი შვილებით ქავთარაძეები იუწყებიან, რომ 24 თებერვალს 4 ს. დანიშნულია სამოქ. პანაშვიდი ვერის სასაფლაოზე.

ინჟინერ ამბროსი ცხაკაიას

ხსოვნის აღსანიშნავად. 6897

ნიკოლოზ და ვალია [illegible] იუწყებიან [illegible]

იოსებ (სოსო) მელქ-ძე ჩევაზიშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება ბინიდან პლეხანოვის პროსპ. № 163, 25 თებერვალს დღის 5 საათზე. 6891

შვილები ნიკოლოზ, კონსტანტინე, გრიგორ, ქალები: ნინა, ცაბია შვილიშვილებით იუწყებიან მათი დედის და ბების

ვერა პეტრეს ასულ ორჯონიკიძის

გარდაცვალებას. დასაფლავება 25 თებერვალს. 6876

საქმიწსახკომის პარტიული კომიტეტი და გაერთიანებული ადგილკომი და ადმინისტრაცია იუწყებიან, რომ 24 თებერვალს დანიშნულია სამოქ. პანაშვიდი კოტემი კარტოზიას მამის

ანტონ გიორგის-ძე კარტოზიას

ხსოვნის აღსანიშნავად. 6895

ცოლი ნინო, კლიმიაშვილი, შვილები: რუსუდანი, ქეთევანი, სიძეები: ლევან ასათიანი და გაბრიელ მეგრელიშვილი იუწყებიან, რომ 25 თებერვალს 1 ს. ვერის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი

ზაქარია მიხეილის-ძე კლიმიაშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად.

მეუღლე ელისაბედი, შვილი ანუშკა, შვილიშვილები: პოლიკარპე, გრიგოლი, ლევანი, სერგო, მაკრო, ლილი, რძლები: ელისაბედი, ოლინკა, ცუცუ იუწყებიან

ბესარიონ ბიწაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 24 თებერვალს 4 საათზე. 6894

მამა გრიგოლი, მეუღლე მარგო, შვილები მადლენა და ნინა, ძმა საშა მეუღლით მირიანაშვილები იუწყებიან, რომ 25 თებერვალს 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქ. პანაშვიდი [illegible]

შალვა გრიგოლის-ძე მირიანაშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად. 6863

ძმები: ანდრო, კაპიტო, აპოლონ [illegible]შვილები ცოლშვილით იუწყებიან დის

მარია (მართა) მახარაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება ბარნოვის ქ. № 39 დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე 24 თებერვალს დღის 4½ საათზე. 6869

და ლიზა, ქმარი ლადო მანჯგალაძეები იუწყებიან ძმის

ექიმ ალექსანდრე ეგორაშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა 24 თებერვალს 4 ს. საზოგადო ქ. № 1. 6883

ცოლი ოლია, დები: ლუბა კორინთელი, მარო კუნჭაძე, ნინა მიქელიშვილი, სიძეები: ლევან კორინთელი და აკაკი კუნჭაძე იუწყებიან

შალიკო ზურაბის-ძე თუხარელის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 25 თებერვალს 4 ს. ვერის სასაფლაოზე. 6899

მისამართები: რედაქციის რუსთაველის პროსპექტი № 16, გამომცემლობის რუსთაველის პროსპ. № 84. ტელეფონები რედაქტორის 8—48—26, რედაქტორის მოადგილის 8—63—08, პასუხისმგებელი მდივნის 8 06—88, მასობრივი განყოფილების 8—78—24, პარტმშენებლობის განყოფილების 8—57—61, სამრეწველო განყოფილების 8—78—40, სტამბის 8—27—04. გამომცემლობის— 8—51—81. ხელთნაწერებს რედაქცია ავტორებს არ უბრუნებს.

მთავლიტის რწმუნებული ა—9372